

~~200~~

କୁର୍ରଶୁନ୍ଦର.

ଶେବିମ୍ବେନ

୩୬୧.୬ ପଣ୍ଡ ୦୬୦

ଶ୍ରୀରାଜତଥି

ତାର୍କଗମାନଙ୍କ ଲାଦ ଗାମନପ୍ରେମା

ଗୁଣଶ୍ଳେ-ପିହିରାଲିସା

ଅକ୍ଷାଳ-ଶେବିମ୍ବେ

କ୍ରିତିମିଳ ମ୍ରୀ. ତାର୍କଗମାନପ୍ରେମା

1898



3. ქორეუნსკი.

გენიაებ

ვ რ ქ ნ კ ლ ი ბ ი

30657




გურულ-იმპერიას

ახალ-სენაკი
სიცამბა ძმ. თავართვილაშვილისა

1898

Дозволено Цензурою Тифлисъ 23 февраля 1898 г.



ბ ენიამ ენ ფრანგლია

სიყრე და სიყვაწვილე.

მრასი წლის უკან, ოკიანეს გალმა, ამერიკის ერთ
ქალაქს ბოსტონში, 17 იანვარს 1706 წლისა, არა
მდიდარს მღებვარს იხსია ფრანკლინს შეეძინა
მეჩვიდმეტე ვაჟი... ახალს ტვირთს არ შეუში-
ნდა კეთილი მამა:

სანამ ცოცხალნი ვართ, ამბობდა ის თავის გუნე-
ბაში, პაწია შეეჩევა ჭამასა, სმასა, სიარულს ა, ლვთის
წყალობით, უეისწავლის კითხვასა, წერასა და შემდეგ
არა უშავსრა-ქვეყანა ფართოა. ლვთის მაღლით,
უფროსები არ დამღუპვია და არც უმცროსი დამეღუ-
პება. ახალ-დაბადებულს დაარქვეს ბენიამენი.

მამა ბენიამენისა ყოველი შემთხვევით სარგებლობ-
და ჩაეგონებია შვილისათვის პატიოსანი კანონები.

პატარა ბენიამენი აღრევე გამოირჩევოდა თავსს
ტოლამხანაგებში. თითქმის ყოველგვარ თამაშო
ბაში მოთავედ ითვლებოდა იგი.

ხშირად მოჰყვებოდა ბენიამენი შემდეგ ამბავს:
„ჩენ გვიყვარდა ტბაზედ თევზაობა, წისქვილის უკან
და იქ. სადაც თევზებს ვიჭერდით, ისე გავზილეთ
ყლის პირი, რომ იქაურობა მთლად ტლაპოდ გა-
აიქცა. რის გამო გავლა-გამოვლა გვიჭირდა. მაშინ
მე ურჩიე ამხანაგებს მოგვეკენჭა ის ადგილი და კი-

დეც ვუჩვენე მათ იქვე ახლო მოგროვებული ქვები ახალდაწყებულის შენობისათვის. საღამოზედ, როგორც კი წავიდნენ მუშები თავიანთ სახლებში, მაშინვე ჭიანჭველებივით წავესიერ საჭმეს. გვიჭირდაზოგიერთ ქვას ორი-სამი ძლივს მივათრევდით დანიშნულ ადგილამდე. როგორც იყო მთელი გროვა ქვისა გადმოვიტანეთ და ტალახიანი ადგილი დიდებულათ მოვფინეთ. მეორე დღეს მუშები ძლიერ გაოცდნენ, რომ ქვები ვეღარ ნახეს თავისს ადგილას. გამოგვდებნეს დამნაშავენი, გვიჩვლეს მშობლებთან და ჩვენც რიგიანად მოგვხდა”..

„ბევრი ვეცადე დამემტკიცებია მამა ჩემისთვის, რომ ჩვენი შრომა სასარგებლო იყო, ჩაგრამ მან მტკიცედ მიპასუხა: „თქვენ შეეხეთ სხვისას, ხელი შეუშალყო სხვისს შრომას, — ეს უპატიოსნო საჭკი-ელია და, რაც უპატიოსნოა, ის არც სასარგებლოა.”“

* * *

როგორლაც ბენიაშენს გროშები გაუჩნდა. მიდის ის ერთხელ ქუჩაში და წინ შეეყრება ბიჭი, რომელსაც უბრალო სასტვინელი უჭირავს ხელში, იგი იმდენად გაიტაცა იმ სასტვენმა, რომ ყველა თავისი ფულები გაიმეტა იმისთვის.

მოვიდა სახლში, სიხარულით ფეხზედ აღარა სდგას, უსტვენს და უსტვენს გახარებული.

რა მიეცი ამ სათამაშოში—ეკითხებიან მას.

— სულ მივეცი რაც ფული კი გამაჩნდა. ეს ამბავი
სასაცილოზ არ ეყოთ მამასა და ძმებსაც:

— იმ ფულებით ამისთანა სატვირთოს ხომ ათა
იყიდა კაცი!

და ისე აჯავრებდნენ მისი „ძვირფასი ნავა-
ჭრით,“ რომ მან ბოლოს ჭალა-უნებურად გადააგ-
დო იგი.

მთელს თავისს სიცოცხლეში ახსოვდა ბენიამენს
მისი სასტვირთოს. დაინახავდა თუ არა, რომ კაცი
კოხტაობისა გამო მზად არის უბრალო რამესთვის
გაიმეტოს უკანასკნელი თვისი შეძლება, ოლონდ
კი აღამიანს თვალები აუხვიოს და მისს წინაშე
უბრალო პატივი და დილება მოიპოვოს, იტყოდა:
— ჰერ, რა ძვირად ჰყიდულობს ის სასტვირთოს!

* *

რვა წლის ბენიამენი მისცეს სკოლაში. კითხვა
მან ამ დროს უკვე იცოდა. კიიხვა ისე პატარაობი-
სას ესწავლა, რომ წერა-კითხვის უცოდინარი
არც კი ახსოვდა თავის-თავი. ამჩნევდა რა მამა შვი-
ლის ნიჭიერებას, პირველად ჰფიქრობდა ემზადებია
იგი სამღვდლოთ...

მაგრამ ორის წლის შემდეგ გადაიტიქრა. შეიძლე-
ბა უფულოპასაც ხელი შეეშალა შესაფერი სწავლა
მიეღებინებია შვილისათვის, მაგრამ, გარდა ამისა,
როგორც ამჩნევდა მასა, შვილისათვის მღვდლობა
ვერაფერი სასიამოვნო უქნებოდა.

ამ დროს იოსია ფრანკლინმა გააწყო პატარა სა-
პნის სახარშავი, სანთლის ქარხანა და ფიქრობდა-
ნეტა ვერ დაგვეხმარება ბენიამენი ქონის აღულე-
ბაში და სანთლის ამოვლებაში?...

მაგრამ ამ გვარი ხელთსაქმნარი ბენიამენს სრულე-
ბით არ მოს წონდა. იგი ამ დროს მეზღვაური კა-
ცების ცხოვრებით იყო გატაცებული. ხელთ იგდე-
ბდა თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე ოკიანეს
ნაპირისაკენ გარბოდა*). პატარა ბიჭიცურავდა, რო-
გორც თევზი. დიდს სიამოვნებას შეადგენდა მისთვის
თავი ამოეყო ზღვაში, ცურვით იქნებოდა თუ ნავით.
უყვარდა შას ავრეთვე რაც შეიძლებოდა შორს გა-
სცილებოდა ნაპირს, მთელის გულ-მკერდით ესუნთქა
ზღვის ჰაერი, ასულიყო რომელიმე ქვაზედ, რომე-
ლიც მოჩანდა წყლიდამ, ზედ მოეფინა გასაშრობად
ტანისამოსი და ეცქირა წყლის დაუსრულებელ სი-
ვრცეში. შემოსძახებდა ამასთანავე რომელიმე ხა-
ლხურ სიმღერის და თან ჩაურთავდა საკუთარ სიტ-
ყებს.

შველა ბოსტონელი მატროსები და მეთევზები
იცნობდენ გამბედავს პიჭუნას და კიდევ
უყვარდათ იგი.

* *

მეორე საღმერთებელი საგანი ბენიამენისა იყო

*) ქ. ბოსტონი ატლანტიკის ოკეანეს ნაპირშედაა გ. შენიბული

წიგნები. თუ მას ზღვაზედ ვერ ნახავდით, იმ დროს
უეჭველად წიგნს უჯდა იგი. რაც უნდა დაღლილი
ყოფილიყო, მანამ არ დაიძინებდა, სანამ რაიმეს არ წაი-
კითხავდა. განსაკუთრებით უყვარდა მას მოთხოვნების
კითხვა შესანიშნავ კაცების ცხოვრებაზედ.

* * *

ბენიამენის მამამ შენიშნა, რომ ბავშვს ეძნელებოდა
ქარხანაში მუშაობა და საჭირო იყო მისთვის სხვა
რაიმე საჭმის გამონახვა. ამისათვის გააცნო მას სხვა
და სხვა ხელობა... ბოლოს გადასწყვიტა მიებარების
იგი თავისი უფროსი შვილის იაკობ ფრანკლინისათვის,
რომელსაც გამართული ჰქონდა წიგნთ საბეჭდავი-
„სტამბა“ უფროსი ძმა უმცროსს არ ან ებივრებდა.
პირ-იქით მან აიყვანა ბენიამენი სასტიკ პირობების
ქვეშე და შეიქმნა ჩხეუბიანი, მკაცრი და ზოგჯერ
კიდევ უსამართლო მეპატრონე.

პირობის ძალით ბენიამენი უნდა დარჩენილიყო
ძმასთან ცხრა წელიწადი, სანამ ის არ შეიქნებოდა
21 წლისა: ამათში რვა წელი უნდა დაეყო შეგი-
რდათ და ეცხოვრა ძმის სრულ ხარჯზედ, მაგრამ
უჯამაგიროთ და მხოლოდ მეცხრე წელში მიიღებდა
ჯამაგირს, როგორც ქარგალი.

ბენიამენმა მალე შეისწავლა ბეჭვდითი საჭმე, ასე
რომ კიდევ ვადააჭარბა თავისს ძმას ამ ხელობაში,
რის გამოც ძნელად ითმენდა ძმისაგან ლანძღვასა
და ცემასა.

დაასრულებდა თუ არა ბენიამენი მისს ხვედრს
სამუშევარს, გასწევდა ოცახში და მიუჯდებოდა
თავისს საკვარელს წიგნებს... იაკობი უკან გამოუ-
დგებოდა:

— სად წამოსულხარ შენ? იქ ქალალდის ფურცლე-
ბია ასაწყობი და ეს კი აქ საკითხავად წამოჭიმულა!

— მე ჩემი საქმე გავათავე.

— კარგი, მაგრამ იმათ დაეხმარე, ვისაც არ გაუ-
თავებია.

— მე რა სხვებზედ ნაკლები სამუშაო მქონდა მო-
ცემული? თუ ადრე გავათავე ეს იმიტომ როდ დრო
მინდოდა გადამერჩინა წიგნის საკითხავად...

— გასწი, გასწი! ბევრს ნუ ლაპარაკობ.

ამ გვარად დავობდენ ძმები თითქმის ყოველ დღე.

* * *

საკითხავ წიგნებს ბენიამენი სადაც კი მოხერ-
ხდებოდა ყველგან შოულობდა. მას ჰყავდა ნაცნო-
ბი ბიჭები წიგნების მაღაზიებში. ისინი ხანდა-
ხან ლამ-ლამობით აძლნვდენ წიგნს. სალამოს უ-
მზედ, შეუდგებოდენ თუ არა მაღაზიების დაკეტვას
გადმოიღებდენ მისთვის თაროდამ რომელიმე წიგ-
ნაკს; შეორე დღეს, დილითვე, დაიწყებდენ თუ არა
მაღაზიების გაღებას, ბენიამენი უკვე მიურბენიებდა
წიგნაკს დაუსვრელსა და დაუჭუჭნელსა.

პითხულობდა ის ლამ-ლამიაბით.

მრთმა მდიდარმა ვაჭარმა, რომელსაც ბევრი კა-

რგი წიგნები პქონდა, გაიგო, რომ ახალგაზდა ფრანკლინს დიდი სურვილი აქვს წიგნების კითხვისა. მან მიიწვია ყმაწვილი თავისს ოჯახში; აძლევდა მას წიგნებს და თან უჩვენებდა რომელი კარგია მისთვის და რომელი არა.

* *

მრა ამ წიგნთაგანში ბენიამენმა ამოიკითხა მსაჯეობა, რომ ადამიანს არ შეჰვერის ცხოველების დახოცვა, მათი ხორცით კვება და გადასწყვიტა ხელი ცდო ხორცეულობისა. და თევზეულობის ჭამაზედ და საზრდოდ მარტოკა მცენარეულობა. რძე და კვერცხი ეხმარა... მისი ძმა იაკობი უცოლო კაცი იყო და შინ არ საღილობდა. მუშებიც აგრეთვე საღილობისას გაიფანტებოდენ, ვისაც საღ ნებავდა, ბენიამენი საღილობდა მეზობლებისას, რომელთაც უფროსი ძმა ყოველ კვირაობით აკმაყოფილებდა მცირე სასყიდლით. „მე მივეცი ჩემს ძმას წინაღადება ყოველ კვირაობით ხელზედ ეძლია ჩემთვის ნახევარი წილი იმ ფულებისა, რასაც იხდიდა ჩემს საღილში და არ ეზრუნა ჩემს შენახვაზედ, მოგვითხრობს ფრანკლინი:— ის იმ წამშივე დამეთანხმა. მალე მოვახერხე მე იმ ფულებიდგან ნახევარი გადამედო. წიგნების საყიდლათ. მე ვირჩევდი აგრეთვე დროს საკითხავად. იაკობსა და ჩემს ამხანაგებსაც ცოტა დრო არ უნდებოდათ საღილის ჭამაში, მაგრავ ჩემგან რადიდს. დროს მოითხოვდა ნაჭერი პური შემეჭამა,

თავისი საჭამანდით, ორი კაკალი ხილი გადამეყლაპა
და ერთი ჭიქა წყალიც ზედ დამეყოლებია! მე ყო-
ველთვის მრჩებოდა თავისუფალი საათი გონების სა-
ვარჯიშოდ. სინჯა ბენიამენმა თვითონაც შეეთხზა,
რაიმე. დასწერა მან ორი მოთხრობა ლექსათ;
ერთი მათგანი მოგვითხრობდა, თუ როგორ
დაახრჩო მღელვარე ზღვამა მაიაკზედ მსახური
მოხუცი თავისი ორი ქალიშვილითურთ. მეორე—
თუ როგორ დატყვევეს მატროსებმა ზღვის
ერთი ავაზაკი— „შავი წვერი“. იაკობ ფრინკლინმა
საჩქაროდ დაბეჭდა ეს ნაკლები ლექსები და მათ
გასასაღებლად თვითონ ბენიამენი გაგზავნა.

ეს ლექსები არა ერთხელ წარმოუთქვამს მას სი-
მღერით მისს ნაცნობ მატროსებთან. მოთხრობა მა-
იაკზედ ყარაულის ქალებითურთ დალუპვისა მოიგო
ნებდა ბოსტონელებს ნამდვილ შემთხვევას, რომელიც
მოხდა იმ ხანებში ბოსტონის მახლობლად, ამიტომ
ლექსები უცბად დაიყიდა.

„ამ გარამოებით წათამამებულს ბენიამენს შეიძლება
არც კი დაენებებია თავი ამგვარი ნაკლები ლექსე-
ბის წერისათვის, მაგრამ შისდა საბედნიეროდ ეს
ლექსები ჩაუარდა ხელში მამას, რომელმაც მეგო-
ბრულად აუხსნა შვილს მათი უვარგისობა
„ამ გვარად მე ამცილდა უბედურება გავმხდა-
რიყავი უვარგისი „მოშაირე“ — ამბობდა შემდეგ ბე-
ნიამენ ფრნაკლინი

თუმცა მამა უშლიდა თავის ნიჭიერს ვაეს ლე-

ქსების თხზვას, რაც სრულად არ ეხერხებოდა მას, სამაგიეროდ აგონებდა შეესწავლა ლაპარაკი და წერა აზრიანად და ნათლად.

ბენიამენს ამხანაგიც ჰყავდა მისებრ წიგნებისა და შეჯელობის მოყვარე. ერთხელ ჰათ შორის ჩამოვარდა მსჯელობა: ფრანკლინი თავისას ამტკი-ცქბდა. მეგობარი თავისას... იდავეს, იდავეს... ვძ-რაფრის გადაწყვეტა ვერ მოასწრეს. ერთმანეთის ნახვა არ შეხვდათ, ამიტომ გამართეს მიწერ-მოწე-რა. ეს წერილები ჩაუარდა ხელში მოხუც ფრა-ნკლინს.

— შენ სტანბაში ხშირად გაქვს საქმე მცოდნე კაცე-ბის ხელნაწერებთან-უთხრა მან თავისს შვილს. — ამიტომ მართლწერა შენს წერილიებში უფრო და-ცულია, მაგრამ აზრებს შენი მეგობარი უფრო ნა-თლად ხატავს და შენზედ უკეთ წყობილადაც გა-მოჰყავს.

და დიდხანს ესაუბრა მაზედ — თუ რა ნაკლულე-ვანება აქვს მისს წერილებს.

ბენიამენმა გადასწყვიტა გაესწორებია ენა და ბე-ვრიც იშრომა ამაზედ:

წაკითხავდა რა დიდის დაკვირებით ერთ რომე-ლიმე კარგის ენით დაწერილს გვერდსა, ცდილობდა წიგნში ჩაუხედავად. წაკითხულს მოჰყოლოდა; შე-მდეგ შეადარებდა თავისს სიტყვებს ნამდვილთან ჲ-ლუკვირდებოდა — თუ რა მოაკლო, ან მიუმატა, თა-ვისს მხრით, უადგილოდ? რა სთქვა გაურკვევლად, გაუგებრად?

შოველს ლონისძიებას ხმარობდა ისე ელაპარაკნა აღამიანთან, რომ მისი ლაპარაკიდგან რაიმე აზრი გამოსულიყო.

იმან მალე შეიგნო, რომ ამისათვის საჭირო იყო მოთმინებით მოესმინა რასაც აღამიანები ლაპარაკობენ; ჩაკვირვებოდა იმ აზრებსაც კი, რომელნიც პირველ გაგონებაზედ სიმართლეს მოკლებულნი გვევლია; თითოთ არავისთვის „დაეცო პირი“ ამ გვარი უხეირო სიტყვებით როგორიც არის: „სულელი ხარ შენ, ჩემო ძმაო!“, „რა შენი ჭკუის საქმეა ეს“! „არაფერი არ იცი შე საწყალო“! შენ გიჯობს ყური დამიგდო რაც მე გითხრა“!

ფრანკლინი დარწმუნდა რომ მოუხეშავი სიტყვა-პასუხით ვერავის მოაჭიროანებდა: თუ ვინმე მსჯელობის ხასიათზე არ არის ან არა სცალია, უმჯობესია თავი ანებოს მას, მაგრამ თუ მსჯელობაში შედიხარ, საჯე მოთმინებით და თავდაჭერით, და, რაც უმთავრესია, დაუინებით თავის გამარლებას ნუ ეცდები. ვინც მართალია ბოლოს გამოჩნდება. შეიძლება ერთიც და მეორეც ცდებოდეს, სიმართლე კი იქ აღმოჩნდეს, სადაც არც ერთი არ ელოდა.

შოველ მსჯელობას სახეში უნდა ჰქონდეს გულდამშვიდებით საქმის გარჩევა და სიმართლის გამორკვევა.

ამ გვარი მსჯელობა არავის არ აწყენინებს და არც წააჩიუბებს ერთმანეთს. თვითოვეული მათგანი ამ გვარი მსჯელობიდგან რაიმე ახალს აზრს შეითვისებს.

ბენიამენს ტყუილად არ უშრომია. მან მაღვე შეისწავლა გარკვეული, აზრიანი და წესიერი ლაპარაკი. ამიტომ ყოველთვის ყურადღებით უსმენდ ენ მას, კარგი განწყობილებაც ჰქონდათ მასთან და მისს გონიერს დარიგებას არაოდეს არ ეწინააღმდეგებოდენ.

* * *

მა ბენიამენისა, იაკობი, თავისს სტამბასთან გაზეთსაც სცემდა. სტამბის კარებთან იგი პოულობდა პატარ-პატარა სტატიებს, ერთი და იმავე ხელით დეწერილს. ეს სტატიები მას მოსწონდა და კიდეც დაბეჭდა თავისს გაზეთში. არა ნაკლებად ჩოიწონა ეს წერილები მკითხველმა სიზოგადოებამაც და დიდი მითქმა-მოთქმაც აღძრა მთელს ბოსტონში.

მრთ სალამოს როგორლაც თავი მოიყარენ იაკობისას რამდენიმე მეგობრებმა და მათ შორის მოხუცი ფრანკლინიც მოხდა. იქვე იჯდა ბენიამენიც ჩამოაგდეს ლაპარაკი ამაზედ თუ იმაზედ ..

— ვინ არის ის, იაკობ, შენს გაზეთში ხელ-მოუწერელად წერილებს რომ უშვებს? ჰკითხა ერთმა სტუმართაგანმა.

- დიდებული სტატიებია! ჩაურთო მეორემ.
- წარმოიდგინეთ რომ არც მე ვიცი ვინ არის იმ წერილების დამწერი—უპასუხა იაკობმა.
- რას ამბობ, კაც!

— ნეტა ვინ უნდა იყოს!?

- მე მივხვდი მგონი, სთქვა იქვე მჯდომა მეაფ-თიაქემ, იმას უნდა სწერდეს ჩიმი მეზობელი სმიტი.

ტყუილად კი არ მირჩევდა ის იმ სტატიების წა-
კითხვას და მართლაც რომ მის გემოზედაა დაწერილი.
ხელს თუ არ აწერს ეს იმიტომ, რომ მას უამისო-
ლაც ბევრი პტერი ჰყავს სიმართლისათვის.

— სმიტი?

— დიახ, დიახ, ის უნდა იყოს-დაეთანხმნენ სტუმრები.

— სრულიადაც არა! — მოულოდნელად წამოიძახა
ბენიამენმა თავისი კუნჭულილამ.

შველანი ბენიამენს შეაცემდენ ის ამ დროს
გაწითლდა და თვალები აენთო.

— ალბათ, შენ შეგინიშნავს იმ წერილების შემო-
მგლები? — კითხა იაკობმა.

— რატომ მე არაფერი გამაგებინე?

— მე არაფერი ამგვარი არ შემიმჩნევია-მიუგო ბე-
ნიამენმა.

— თუ სხვებზედ მეტი არა იცი რა, არაფერი შენი
საქმეა უფროსების ლაპარაკში ჩარევა — მკვანეო შე-
ნიშნა ძმამა!-გაჩუმდი ანდა გამეცალე აქედგან.

მმის უწესო ქცევამ მოთმინებიდგან გამოიყვანა
ბენიამენი:

— მე კარგად ვიცი რასაც ვლაპარაკობ. სმიტს. კი
არ დაუწერია ის სტატიები, არამედ... მე!

სტუმრებმა ერთმანეთს გადაჭედეს.

— ხუმრობ, ბიჭო, შენ! ? — შენიშნა მოხუცმა ფრა-
ნკლინმა.

— ანდა სტყუი? — დაუმატა იაკობმა.

— არც ვხუმრობ და არცა ვსტყუი, — გადაჭრით

მიუგო ბენიამენმა და კილეც გავიდა ოთახიდგან.

არ გასულა ერთი წუთი, რომ ბენიამენი ისევ დაბრუნდა რვეულებით ხელში, დასდო იმათ წინ სტოლზედ და უთხრა:

— აი შავებიც, აბა შეადარეთ!

სტუმრებმა ერთხმად მიულოცეს ახალ-გაზრდა მწერალს წარმატება... მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა ბოსტონმა გაიგო.

ამ დროს ბენიამენი იყო მხოლოდ თხუთმეტის წლისა.

* * *

ბენიამენს მალე მიეცა შემთხვევა დაყრდვია ძმასთან პირობა, გაზეთში იაკობმა დაბეჭდა სტატია „ფარისეველთა“ წინააღმდეგ, რომლებსაც უწოდებდა: „მგლები ცხვრის ქურქში გახვეულნი.

მერმე აწერილნი იყვნენ თვით „მგლები“. მრავალმა „საპატიო პირებმა“ ქ. ბოსტონის მმართველებმა, იცნეს თავიანთი თავი ამ აწერილობაში და იაკობი რამდენიმე კვირით ციხეში ჩასვეს. გარდა ამისა მას აუკრძალეს გაზეთის გამოცემა.

რომ სოჭვას კაცმა, გაზეთის საჭმე კარგად მიღიარდა, შემოსავალიც შემოჰქონდა.. რა უნდა ექნათ? შინაური რჩევით გადასწუვიტეს გაზეთი გადაეცათ ბენიამენისათვის.

მაგრამ კანონის ძალით, გაზეთის გამომცემლად შეიძლებოდა ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი, კაცი, რომლისთვის სხვისი სწავლება და ხელ-

მძლვან ელობა არ იქნებოდა საჭირო. იაკობმა შეშა-
ლა პირობა ძმასთან.

უთანხმოება მათ შორის მაინც არ შეწყდა. იაკობს
ჩვეულებრივ უფროსობა უნდოდა, ბენიამენს კი სუ-
რდა გაზეთის საქმე წაეყვანა თავისებურად... და
გამოუტადა ძმას, რომ მასთან აღა დადგება და
სხვა ადგილს მოიძებნის.

იაკობმა მამასთან უჩივლა, ჩამოიარა აგრეთვე ჭ-
ბოსტონის სხვა მესტამბეჭებიც და იმდენი ცუდი
ჩაულაპარაკა იმათ თავისს ძმაზედ, რომ ბენი-
ამენს მამისგანაც ბევრი რამ საწყენი შეხვდა და
ბოსტონშიაც ადგილი ვეღარ იშოვა.

მაშინ, ერთი მისი მეგობრის რჩევით, მან გა-
დასწუვიტა გაეყიდა რამოდენიმე წიგნი და ამონაგები
ფულებით გასულიყო სამშობლო ქალაქიდგან და
ეცადა თავისი ბედი უცხოადგილზედ. მას ეშინოდა
მამას არ დაეკავებია იგი, ამიტომ ყველა
თავისი ნათესავების გაუგებრად ჩაჯდა გემში, რო-
მელიც 300 ვერსის მანძილზე უნდა წასულიყო
ქალაქ ნიუიორკში...

ნიუიორკშიაც ვერ იშოვა ფრანკლინმა სამუშა-
ვო და გასწია კიდევ იქით ას ორმოცდა ათი
ვერსი—ქალაქ ფილადელფიაში.

* * *

გადასვლ-გადმოსვლა მაშინდელ დროში ისე
ადვილი არ იყო, როგორც ეხლაა, ჩვენს დროში...

და ბენიამენმა ბევრი გაჭივრება გრმოიარა გზაში: მიალწია მან ფილადელფიაში თითქმის უფულოთ. შერჩა მას ჯიბეში, ჩვენი ფულებით რო გამოვხატოთ, მხოლოდ ორი მანეთი.

მოგზაურობაში ბენიამენმა უარყო პირობა. მარტოკა მცენარეულობით ესაზრდოებინა თავი. ეს მოხდა ასე:

მრთ ნავთსადგურზედ მატროსებს დაეჭირათ ბევრი ვირ-თევზა და მოინდომეს მათი შეწვა... დაუწყეს წმენდა, ფატრვა... ვირთევზას კუჭში დაინახა ფრანკლინმა ბევრი წვრილი თევზები...

— „**აი რა!** — დაფიქრდა იგი: — თევზი თევზსა სჭამს.. ადამიანმა რისთვის არ უნდა იხმაროს თავისს საზრდოდ?“ და ძევე გაიხსნილა თევზითა.

II

ფრანკლინი თავისთავის ამარა

Jი როგორ აგვიწერს თვითონ ფრანკლინი თავისს ჩასვლას ფილადელფიაში:

„ ჩამოვედი მე სამუშავო ტანისამოსით, გარდა ამისა ისიც მთლად ტალახში იყო დასვრილი. ჩემი ჯიპეები გატენილი იყო წინდებითა და საცვალი პერანგებითა, ქალაქში ერთსაც არავის ვიცნობდი, არ ვიცოდი აგრეთვე სად დავბინავებულიყავი, გაწვალებული მგზავრობით, უზომოდ დაღლილი ნიჩბების სობით. ამით ჩამეებით, მე თან მშიერიც ვიყავი,

ფული კი სულ ცოტა მქონდა. ცოტა მენავეებს მივეჭი, რომლებთანაც დავასრულე უკანასკნელი მგზავრობა. მათ თუმცა არ უნდოდათ აეღოთ ჩემგან რაიმე, რადგან მე მგზავრობაში გაჭირების დროს მათი მარჯვენა ხელი ვიყავი — ჭარიშხალიან ლამეში ვეხმარებოდა ნაჩებების სობაში — მაგრამ მე დაუუინე აეღოთ ჩემგან ფული.“

„დავ ადეგი პირველს შეხვედრილს ქუჩას, შეუხვიე მებულკესთან, დავუდე დახლზედ გროში ფული და ვთხოვე შეცა პური. ჩემდა გასაოცად, მე ერთი პური კი არ მომცეს, როგორც ბოსტონში იძლევოდენ იმავე ფულად, არამედ სამა. ორი პური აქეთ-იქეთ იღლიაში გამოვიდევი, მესამეს კი ჭამა დაუწყე. ასე გავიარე რიცის სახლის პირ-დაპირ, რომლის ქალიშვილი ამ დროს კარებში იდგა. ჩემმა სასაცილო გარეგნობამ ძალა-უნებურად მიიპყრო მისი ყურადღება. როგორც კაიგებთ, შემდეგ თვითონ ეს ქალი შეიქმნა ჩემი ცოლი.“

„ჩავუხვიე მდინარისაკენ, დავლიე ცივი ჟუალი თუ არა, იქვე ნაპირზედ დავინახე ქალი ბავშვითურთ, რომელიც ფილადელფიაში ჩემთან ერთად ჩამოვიდა ნავით და ეხლა ელოდებოდა მოხერხებულ დროს-გა ნეგრძო მგზავრობა. მე, შევჭამე რა ერთი პური, საკმა რისად გავძეხი და დანარჩენი არი პური მივაწოდე იმ დედაკაცს.“

„მოვლონიერდი თუ არა, გავსწიე ისევ ზევით. ავე-დი ქუჩაზე და ვხედავ დიდძალი ხალხი მოდის. ყველანი სუფთად ჩატარებულნი იყვნენ და თითქო

ერთი სახლისაკენ მიეშურებოდენ. მეც თან
დავედევნებ აღმოჩნდა რომ ეს კვაკვერები
ყოფილან და ეხლა იკრიბებოდენ თავიანთ სამლო-
ცველოში ...

ვინ არიან კვაკვერები? კვაკვერები არიან ქრისტი-
ანები, რომელთაც განსაკუთრებითი მიღრეჭილება
აქვთ.— მათი ხასიათის შესახებ შეგვიძლია ვსოდეთ,
რომ ისინი მეტად მკაცრი ზე-ჩვეულებისანი არიან.
ყველას დაურიდებლად ეუბნებიან „შენ“, ჩატა-და-
ხურვა უბრალო იციან, ქეიფი და დროის გატარება
არ უყვართ.

„სამლოცველოში მეც შევედი“, — განაგრძნობს
ფრანკლინი თავისს ამბავს. — „შემომსვლელნი ჩუმად
სხდებოდენ სკამზედ და ეძალევოდენ სარწმუნოე-
ბრივს ფიქრებსა. დავჯექი მეც... და რადგან წინა-
ლამის უძინარი ვიყავი, კარგა ლონივრად მიმეძინა!
როცა ხალხმა დაშლა იწყო, ფილარაც დიდის მორი-
დებით გამაღვიძა. ამნაირად კვაკვერების სამლოცველო
იყო პირველი სახლი, რომელშიაც ფეხი შევდგი
ანუ-უკეთ რომ ვსოდეთ — რომელშიაც გამოვიძინე მე
ფილადელფიაში ჩასვლისას“.

მრთმა ახალგაზდა კვაკვერმა უჩვენა მგზავრს იაფი
სასტუმრო, სადაც ჟან გაითია ღამე. მეორე ლლეს,
როგორც კი ცოტათი თავისი ტანისამოსი რიგში
შოიყვანა, გასწია სამუშაოს საშოვნელად,

ფრანკლინმა მოახერხა აღგილოს შოვნა კეიმერის

წიგთ-საბვჭდავში, დასადგომი ბინა კი მისცეს თვით
იმ რიცის სახლში, რომლის კარებთან მდგომამა ქალბ-
შვილმა პირველად დაინახა ქუჩაში მოხეტიალე ფრა-
ნკლინი, რომელსაც ორი პური იღლიაში ჰქონდა
ამოდებული და მესამეს მადიანად შეექცეოდა.

ახალგაზდებს მალე შეუცვარდათ ერთმანერთი...
მაგრამ როგორც ფრანკლინი ისე სასტლოც იყო
მხოლოდ თვრამეტი წლისა. მოხუცნი (რიცი) ურ-
ჩევდენ აქორწილი არ დაეჩქარებიათ, რადგან
საჭირო იყო ფრანკლინი საიმედოთ მოწყობილიყო.
მუშაობდა ის კეიმერთან წესიერად და კეიმერიც
ფასს სდებდა მისს შრომას, რადგან თვითონ მას ამ
სჯემისა ძალიან ცოტა გაეგებოდა.

* * *

უამისოდაც, ნაკითხაობა ფრანკლინისა, მისი ზედ-
მიწევნილი ზომიერება საჭმელში, დროს გატარება-
ში, მისი ჭკუა, მოხერხებული და უწყინარი სჯა-
ბაასი, მისი სასიყვარულო, მაგრამ არა პირმოთნე-
რჩება — ქცევა, ძალა უნებურად იპყრობდა საზო-
გადო ყურადღებას.

ცნობა შესახებ იმისა თუ სად და როგორ ცხო-
ვრებდა ბენიამენი, შემთხვევით მიუვიდა მისს სიძეს
ზღვაოსანს ჭოლმსა. გოლმსა მისწერა წარილი
ცოლის-ძმას და უამბო, თუ როგორ სწუხდენ ბენი-
ამენზედ მისი შშობლები.

ბენიამენმა დაწვრილებით და გულწრუცელათ აუ-

წერა გოლმსს, თავისს წერილში, თუ რამ აიძულა
იგი მიეტოვებია სახლ-კარი.

მრთხელ გოლმსს როგორლაც შეუხვდა მუსაიფში
ეჩვენებინა ეს წერილი ფილადელფიის გუბერნატო-
რის კეიტისათვის. გაიგო თუ არა, რომ ის (წერილი)
თუ ამეტის წლის მუშის ნაწერია, კეიტი მეტის
მეტად გაკვირდა და გადასწყვიტა გაცნობოდა ფრა-
ნკლინს.

ბაცხარებული მუშაობაა კეიმერის საბეჭდავში .
უცბად დაინახეს — ქუჩაში მოდის გუბერნატორი,
უცებ გადმოუხვია პირდაპირ საბეჭდავისაკენ.
კეიმერმა იფიქრა: გუპერნატორს ალბათ შესა-
კვეთი საქმეები აქვს და იმიტომ მოდის ჩემთანო.
სწრაგად ჩამოვიდა ძირს კიბეზედ და კარებში შეე-
გება ჰატივსაცემ სტუმარს.

— მუშაობს თქვენთან ბენიამენ ფრანკლინი? ჰკიოხა
გუბერნატორმა.

— როგორ არა, ბატონო!

— მე მსურდა მისი გაცნობა.

დაუბახეს ბენიამენს. კეიტმა დაუწყო მას მოფერე-
ბა და სასიყვარულო მუსაიფი.

კეიმერი გაკვირვებული შეჰყურებს

„ წვიდეთ იმ სასტუმროში — ეუბნება გუბერნა-
ტორი ფრანკლინს! — იქ ჩვენ უფრო კარგად მო-
ვილაპარაკებთ “...

ბამოვიდა კეიტი და ფრანკლინიც გამოჰყვა. სასტუმ-
როში გუბერნატორმა უბრძანა მოეტანათ ერთი ბოთ-

ლი კარგი ღვინო და ბენიამენიც გვერდით მოისვა.

— ფილადელფიაში ერთი ხეირიანი საბეჭდავი არ არის — უთხრა კეიტმა. — ვერ გამოაწყობთ თქვენ საკუთარს სტამბას?

— მე საშვალება არა მაქვს უპასუხა ფრანკლინმა.

— ნურაფერს გააგებინებთ თქვენს აღას; მე რო გირჩიო ისე მოიქეცი: გამოეწყვე მშობლების სანახავად, მე მოგცემ წერილს მაშა თქვენთან და ვუამბობ თქვენს მშვენიერს ყოფაქცევას — შეურიგდით ოჯახობას. — შეიძლება მამამ აღმოგიჩინოს შემწეობა პირველ მოწყობისათვის, გაემგზავრეთ ინგლისში, იქ დაჰყევი რამოდენიმე ხანი საუკეთესო საბეჭდავებში, და შეისწავლეთ თქვენი საქმე ჩინებულად. მე მოგცემ წერილებს ჩემს მეგობრებთან და ძველ ნაცნობებთან, ისინი თქვენ დაგეხმარებიან პირველ ხანებში. ინგლისშივე იყიდით საჭირო, საუკეთესო მასალას და ისე დაბრუნდებით, მანამ კი მე აქ ბევრს სამუშაოს დაგიმზადებ..

ფრანკლინმა არ იცოდა როგორ გადაეხადა მადლობა ამ კეთილი კაცისათვის. ჩქარა გამოეწყობოსტონში წასასვლელად.

წასვლამდე კეიტმა კიდევ რამდენჯერმე მიიპატიუა ბენიამენი საღილზე და ყოველთვის დიდის პატივით ეპურობოდა მას.

* *

ბენიამენი ჩამოვიდა შინაურებთან... ყველამ დიდის სიხარულით მიყენება მას, გარდა იაკობისა, ეს

უკანასკნელი ხელის ჩამოსართმევადაც არ მისუღა
ძმისთან.

ბენიამენი თვითონ წავიდა სტამპაში.

„**მე** სანამ ძმასთან ვმუშაობდი — მოგვითხრობს იგი
— არაოდეს არ ვყოფილვარ ისე ლამაზად ჩაცმული
როგორც ეხლა: თავიდამ ფეხებამდე სუფთად, მშვე-
ნიერი მაუდის ტანისამოსია, ვიყავი მორთული. ამავე
დროს მე საჭარიც მქონდა და ჯიბეში ფულებიც
საკმაოდ მედო“.

„**შმას** ჩემი ნახვა არაურად გახარებია. ერთხელ
რაღაც გულ-გ რილად ამხედ-დამხედა თავიდამ ფეხება-
მდე და ისევ განაგრძო მუშაობა“.

„**მაგრამ** მუშები მაშინვე გარს შემომეხვიცნ და
ცნობის მოყვარეობით მეკითხებოდენ თუ-სადა ვცხო-
ვრობ, როგორია ის მხარე, სადაც მე დავბინავდი? სინჯავდენ ჩემს საათს, გამოთხოვებისას მე ვაჩუქე
მათ ვერცხლის ფული, რომ ჩემს სახელზედ გადაეკ-
რათ, ძმა კი ამ დროს გაბუტული და გაჩუმებული
იყო თავისთვის. მალე მეც გავეცალე“.

თურმე ჩემი სტურობა ვერაფრად ესიამოვნა ძმას.
როდესაც დედამ ჩამოაგდო ლაპარაკი ჩვენი შერი-
გების შესახებ, იაკობმა უპასუხა“.

„**თავისს კარგს** მდგომარეობას განგებ აჩენდა
ეს ჩემი მუშების წინ, რომ მია დაემცირებია იმათ
თვალში ჩემი საჭე; მე თავის დღეში არ ვაპატიებ
მას ამ გვარ საქციელს.“

„იაკობი ტყუილად მემდუროდა—მე“ *)

ფრანკლინი განაგრძნობს თავისს ამბავს: „მამამ
წაიკითხა კეიტის მონაწერი წერილი და შენიშნა:“
„—სუსტი ჭკუის კაცი უნდა იყოს ის თქვენი გუ-
ბერნატორი. როგორ უნდა მიენდოს ამოდენ ასაქმე
შენი წლოვანების კაცი!““

*) ეს სამწუხარო აშლილობა ძმებთ შორის გათავდა მხო-
ლოდ ბევრი ხნის შემდეგ: ბენიამენმა, როგორც და-
ვინახავთ, კარგი ძალი ქონება შეიძინა. იაკობმა ცოლი შეირთო
და ბავშვებიც შეეძინა: ერთი ბიჭი და ორი გოგო.

გააგო ბენიამენმა, რომ მა ძლიერ ავათა, და საჩქაროდ
გაეშურა ძმისათან ბოსტონშა.

ეხლა კი მეგობრულად შეხვდენ ერთმანეთს. რა მოხარული
ვარ შენი ნახვისა, ბენამენ, ეუბნებოდა—იაკობი. მე ვშიშობდი
ვაი თუ შენთან შეურიგებელი მოვკვდე მეთქი.

ბენიამენი არწმუნებდა ავადმყოფ ძმას, რომ დიჯი ხანია შერი-
გებულია მასთან თავის გულში და როგორმე უნდოდა დაეთვარა
უველა უსამოენება, რაც წასრულ წლებში მიაყენა მას საკოპმა
—შენ არათერი გაქვს დასაფავრი—აღელოვებით უთხრა იაკობმა.
დანაშაული მე ვიყავი, მაგრამ შენ თუ ნამდგილად მომიტევი
ნუ დააგდებ ჩემს ვაჟსა, ცოლს ლმერთვა შეაძლებინოს ქალაშვი-
ლების მოვდა. ბაჭი კი ცხრა წლით—წაიყვანე შენს სტამბაში
ა—წავლე და ჭიათუ დააყენე

—იმაზედ ნუ სწუხარ—გააწყვეტინა ბენიამენმა ძმას—პირობას
გაძლევ: თუ შენ მართლა მოკვდები, მანამ შენი პოვ შეძი ფეხზე
დადგეხიან მე მათ მამობას გაუწევ.

იაკობმა მაგრად ჩაიკრა ძმის ხელი.

ბენიამენმა აასრულა თავისი სიუკვა. როდესაც, რამდენიმე
თვის შემდეგ, იაკობი მოკვდა, მან წაიყვანა მისწული და არაფრით
არ არჩევდა თავის საკუთარი შვილებიდგან.

მოხუცებულმა მისწერა მაგიერი წერილი გუბე-
რნატორს: მაღლობას უძლნივდა ჩემი პატივსცემისა-
თვის, მაგრამ ფულით შემწეობის აღმოჩენაზედ კი
ვარს უკეთადებდა, რადგან, მისი აზრით, ძლიერ
მოუმზადებლათ მთვლილა ისეთი საჭმისათვის, რომე-
ლიც მოითხოვდა დიდს ხარჯებს”..

* *

მიუხედევად ამისა, ბენიამენი მაინც გაემგზავრა
ინგლისში. ფრანკლინის აზრი მართალი გამოდგა.
კეიტი მცროლაც არ დარჩა საიმედო კაცი: ბევრი
რამ დაპჰირდა ბენიამენს და ვერც ერთი ვერ
შეუსრულა.

სანამ ხომალდი მოეწყობოდა ინგლისში წასასვლე
ლად, რამდენჯერმე მიაკითხა მას წერილებისათვის..
— ჰო, ჰო, თქვენ ნუ სწუხდებით! გექნებ: თ
ამ დროსათვის!

— ეუბნებოდა გუბერნატორი ყოველთვის..

— აი კიდეც უნდა ჩაჯდეს ხომალდში, ერთხელაც
შეირჩინა ფრანკლინმა თავისს მფარველთან. გამო-
დის კეიტის მდივანი და ეუბნება:

— გუბერნატორი ბოდიშს იხდის, რომ არ შეუძლია
თქვენთან გამოასვლა. იმას ბევრი საჭმეები აქვს
ეხლავე გამოსაწყობი ინგლისში გასაგზავნად ამავე
ხომალდიო. სხვათა შორის შენს წერილებსაც სწე-
რს. ყველა ესენი ერთად გადაეცემა კაპიტანს ხო-
მალდის გასვლამდე. გუბერნატორმა გისურვაზ კე-
თილი მგზავრობა.

მართლაც, კაპიტანს მალე მოუტანეს გუბერნატორისაგან ქაღალდებითა და წერილებით სავსე ჟუთი ინგლისში მისატანად.

— არ შეიძლება ჩემი შესახები წერილი გავთვარჩიო?

— დაეკითხა ფრანკლინი კაპიტანს.

გზაშიაც მოესწრებით — უპასუხა კაპიტანმა.

პიტანეს ღუზა. ხომალდი გავიდა ნავთსადგურიდამ. აი მიაღწიეს კიდეც ინგლისის ნაპირს. კაპიტანმა აუსრულა დაპირება ფრანკლინს: გაუხსნა გუბერნატორის წერილებით სავსე ჟუთი .. მაგრამ ფრანკლინის შესახებ ერთიც არ აღმოჩნდა!

ამნაირად მან ამოპყუ თავი უცხო მხარეში, სადაც ერთი ნაცნობიც არა ჰყავდა.

შემდეგში ფრანკლინს უამბეს: „კიდეც რო ჰქონებოდა წერილები კეიტისაგან, მაინც დიდს ვერაფერს დაეხმარერებოდა მასო. კეიტმა იმიტომ ირჩია ამერიკაში სამსახური, რომ ინგლისში ძლიერ ცუდი სახელი დაიმსახურა, როგორც უთადარივო კაცმა. მას არავინ ენდობოდაო.“

* * *

ფრანკლინმა, მაინც, მალე მოახერხა ადგილის შოვნა ლონდონის*) საუკეთესო წიგნთსაბეჭდავებში, გააუმჯობესა თავისი ცოდნა, გაიცნო რიგიანი

*) ლონდონი — ინგლისის სატახტო ქალაქი.

კაცები და საზოგადო ყურადღებაც დაი-
მსახურა. ბოლოს, წლინახევრის შემდეგ, ერთმა
მდიდარმა ვაჭარმა, დენგამმა, შეუკვეთა მას და
ბრუნებულიყო ისევ ფილადელფიაში და მიეღო მისი
მალაზიის გამგეობა. ფრანკლინი დაეთანხმა დენგამის
წინადადებას და მასთან ერთად დაბრუნდა ამერი-
კაში. ამგვარად ფრანკლინი კინალამ ვაჭარი შეიქმნა,
მაგრამ, არ გასულა ნახევარი წელაწადა, რომ
დენგამი მოკვდა. ფრანკლინს მან უანდერძა
ცოტაოდენი ფული... მაგრამ ადგილი კი
დაეკარგა.

ფრანკლინი არამც თუ წინანდელს საქმეს დაუ-
ბრუნდა, არამედ უწინდელს აღასაც. კეიმერმა
საჩქაროდ მიიწვია იგი თავისს სტამბაში და დიდი
ჯამაგირიც დაუნიშნა. ფრანკლინს გარდა კეი-
მერის საბეჭდავში შუშები ბევრი იყო, მაგრამ არც
ერთმა მათგანმა ხეირიანად საქმე არ იცოდა. ფრან-
კლინს უნდა ესწავლებია მათთვის. იგი გულ მოდ-
გინედ შეუდგა მათი სწავლების საქმეს: სულ მოკლე
ხანში მან კარგად შეასწავლა იმათ ბეჭდვითი საქმე,
ამიტომ თვითონ ფრანკლინი დიდი საჭირო
არ იყო. მაშინ კეიმერმა შორიდგან დაუწყო ლაპა-
რაკი ფრანკლინს, რომ ის ვითომ ძალიან დიდს ჯა-
მაგირს იღებს და სხვა...

ფრანკლინმა გადასწყვიტა გაცლოდა მას.
იმავე დროს კეიმერის ერთმა შაგირდთაგანმა,
შეძლებული მშობლების პატრონმა, მერედიტმა

ურჩია ფრანკლინს გაღეოთ მათ, საამხანაგოდ (საკუთარი) საბეჭდავი, გასავალიცა და მოგებაც შეუა გაეყოთ. მერედიტის მამამ დიდის სიამოვნებით მიზ სცა მათ ფული პირველ მოწყობისათვის, რადგან იცოდა ფრანკლინი კარგად წაიყვანდა საქშეს; კიდეც მოვიდა ფრანკლინთან და მადლობა გამოუ-ცხადა იმისთვის, რომ მან თავისი მაგალითით, და ჩაგონებით გადააჩვია მისი შვილი უოთობას, ოხრო-ბას და, პირიქით შეაყვარა მას შრომა.

მაგრამ ახალგაზდა მერედიტს არაფრად მოსწო-ნდა სტამბაში მეცადინეობა. ის აღიზარდა მუშა კაცის ოჯახში; მას მოსწონდა უფრო სოფლის ცხოვრება და, ამის გამო, მალე მისცა წინადადება ფრანკლინს დაეხსნა მას მთელი წიგნთ—საბეჭდავი. ფრანკლინი დაეთანხმა იმ პირობით, რომ ნაწილ—ნაწილად გადაეხადა ამ საქმეში მერედიტის მიერ დახარჯული ფული. შემდეგ ამისა ფრანკლინი შეი-ქმნა სრული პატრონი სტამბისა.

* *

ფილადელფიაში უკვე არსებობდა ორი საბეჭდავი ყველა საუკეთესო საქმეები მათ ჰქონდა აღებული; ფრანკლინს კი საშვალება ცოტა ჰქონდა... პირვე, ლად ძალიან უჭირდა, მაგრამ გულს მაინც არ იტე-ხდა. ის არამც თუ მეპატრონე შეიქმნა სტამბისა, არამედ თვით უერთგულესი მუშაც: გათენებამდე დგებოდა, ყველაფერს თვითონ უკვირდებოდა, არა-ვითარ შრომას არ ითაკილებდა. არა ერთხელ უნა-

ხვენ ფრანკულინი, როცა ის მიაგორებდა სადმე სა-
შემობში წაყიდი ქალალდით დატვირთულ გოგორას
(თავის).

ფრანკულინს მტკიცედ ახსოვდა მამის მცნება,
რომელსაც უყვარდა საღმრთო წერილის სიტყვების
გაშეორება: „აღამიანი, პატიოსნად აღმსურულებელი
თავისწავმისა, როგორიც უნდა იყოს ეს უკანას-
კნელი, არ არის მცირე; მისი ადგილი მეფეთა
შორის არს.“

მრთე თჯახში როგორლაც თავი მოიყარა ბევრმა
ხალხმა: ძლაპარაკეს „ცისა, ბარისა“; სხვათა
შორის ჩამოაგდეს ლაპარაკი ახალ სტამბაზედაც.

— ვერას გახდება ის საწყალი, ამბობდენ კაცები,
ძველი სტამბები ჩათელავენ მას! — მგონი, — შენიშნა ფრანკულინის ურთმა
მეზობელმა. მე არასოდეს არ მინახავს მაგისთანა
გულმოდგინე „მეპატრიონე.“ საღამოობით მე ძალიან
გვიან ცებრუნდები შინა, უყურებ — ის ჭიდევ სამუ-
შაოს უზის; დილაობით, როცა ჯერ კიდევ არც
ერთი მუშა სახელოსნოში არ შესულა, ის უკვე სა-
ქმინეა მიმდგარი.

მალე ფრანკულინის სტამბაშ საზოგადო ყურადღება
მიიქცია: ყველაფერი იძეჭდებოდა ლამაზად, შეცდო-
მების დაუშვებლათ და თავ-თავის ვადაზედ, ამის გამო
მისი საქმეები დღითი დღე უმჯობესდებოდა.

* *

შეიძლება გუბერნატორი დაეხმარა მას საქმეების
დაკვეთით?

როდესაც ფრანკლინი ინგლისიდგან დაბრუნდა
დენგამითურთ, კეიტი იმ დროს აღარ იყო გუბე-
რნატორად.

ფრანკლინი გვიამბობს: „ინგლისიდგან დაბრუნე-
ბის შებდეგ მე შევხვდი მას ქუჩაში უბრალო ტანი-
საშოსში... მან პირველ დანახვაზე, დარცხვენილად
გვერდი ჩამიარა — ერთი ხმაც არ გაუცია.“ აგრეთვე

„არა ერთხელ გავწითლებულვარ, ინგლისი-
დგან დაბრუნების შემდეგ, რიდის ოჯახისძის
დანახვაზე. ინგლისიდგან ჩემს საცოლოს მხოლოდ
ერთხელ გაუგზავნე წერილი და იმ წერილიდგანაც იმ
დასკვნას გამოიყვანდა კაცი, რომ მე უკან დაბრუ-
ნებას აღარ ვაპირებდი შემდეგ ამისა მას ურჩიეს
გაჰყოლოდა ცოლად მექოთნე როდეჟრს. ის კარგი
მუშა, იყო და ამ გარემოებამ უფრო შეაცდინა ჭო-
გოს მშობლები; მაგრამ ის კი არ იცოდენ, რომ
როდეჟრსი ლოთი იყო. ცოლი მის ხელში ძალიან
უბედური შეიქმნა. ის მალე ჩავარდა უზომო ვალებში
და გადაიკარგა სადღაც.“

ერთი თუ ორი წლის შემდეგ მოვიდა ამბავი
როდეჟრსის სიკვდილისა. ფრანკლინმა შეირთო იშისი
ქვრივი.

მს იყო უბედნიერესი ცოლ — ქმრობა.

ფრანკლინი სწერს — „არის ერთი ინგლისური
ანდაზა: „თუ გინდა კეთილდღეობა, დაეკითხებო-
დე ცოლსაო.““ მე მქონდა ბედნიერება შემერთო
შრომის მოყვარე და მომჭირნე მეულლე: ის ნამ-

დვილო ჩემი თანაშემწე იყო ყოველ საქმეში. მოსამსახურე ჩვენ არა გვჰქონია, ვიკვებებოდით სულ უბრალო საჭმელით, ზედმეტს არაფერს ვყიდულობდით: მაგალითად, საუზმეთ მე ვკმაყოფილდებოდი მარტი პურითა და რძითა (ზოგჯერ უჩა-ოდაც), რომელსაც ვსლებავდი თითბრის კოვზით უბრალო თიხის ქოთნილგან“...

„მაგრამ დაუკვირდი სიმღიდრე, როგორ შემომე-პარა ოჯახში: ერთხელ, დილით, მოვედი რა საუზმისთვის, დავინახე რძე იდგა ფართორის ფინჯანში და მის გვერდით იდო ვერცხლის კოვზი. ეს ნივთები ჩემდა უკითხავად ეყიდა ჩემს ქალბატონს, რაშიაც კარგი ძალი ფულები გასვლოდა — 23 შილლინგი *). ამნაირად გაჩნდა ჩვენს ოჯახში პირველად ფართო-რი და ვერცხლი. ცოლი იმართლებდა თავსა რო ჩემს ქმარს, არა ნაკლებ სხვებისა შეჰვერს ფართორის ფინჯანი და ვერცხლის კო-ვზიო.“

ფრანკლინმა გაატარა ცოლთან სრულ თანხმო-ბაში ორმოცდა ოთხი წელი. ის გარდაიცვალა 1774 წელსა; მას შემდეგ ფრანკლინმა იცოცხლა კიდევ 26 წელიწადი.

III

ფრანკლინი მეცნიერი

ბევრსა ჰგონია სწავლის შეძენა. მარტო სკოლაში

*) 1 შილლინგი 28 ქაპ.

შეიძლება და სკოლის შემდეგ სწავლის თავს
ანებებენ. ეს დიდი შოცდომაა. სკოლები მათ
რიცხვში იმისთანაებიც კი, როგორიც „გიმნაზიები“
და „სემენარიებია“—აძლევენ ადამიანს მხოლოდ
„საშვალებას“. სწავლის შისაღებად: ასწავ-
ლიან წერა—კითხვასა, მაგალითად, იმიტომ რომ
შეიძლო კითხვა, მაგრამ კითხვით თვითონ უნდა
იკითხო; ასწავლიან სხვა-და-სხვა ენებსა, იმიტომ რო
შეიტყო რა მშეავი ხდება უცხო ქვეყნებში; ასწავლ-
იან აფრეთვე წაკითხული წიგნებიდგან აზრის გამო-
ტანას, საჭმის გარჩევას უსაჭმობისაგან; მიაჩვევინ
მოსაზრებას. ყველა ეს მომზადებაა სწავლის მი-
საღებად და არა ნამდვილი სწავლა. ჰეშმარიტი
სწავლა მაშინ შეიძინება, როცა კაცი თვითონ მეცა-
დონებს, წიგნებს კითხულობს, განაგონს და ნახუ-
ლს უკვირდება, აზროვნებს და ადამიანებთან ერთად
ბჭოხს.

ფრანკლინს სკოლაში დიდი ხანი არ დაუყვია. იქ მან ცოტა რამ შეიძინა; სამაგიეროდ, როგორც
იცით ჭადეც, ის თვითონ სწავლობდა ბოვშობისას,
მუშადაც რომ იყო მაშინაც და აღად რომ შეიქმნა,
მან არამც თუ მარტო თავისი საჭმობლო. (ინგლი-
სური) ენა შეისწავლა კარგად, არამედ თავისუფლად
კითხულობდა ლათინურს, ფრანგულს, იტალიანუ-
რს, ისპანურს ენგბზედ... უბრალო ლაზალანდარო-
ბა მას არ უყვარდა, ხოლო ჰკვიან კაცებთან ბაასს
პირ იქით დაეძებდა.. რასაც წაიკითხავდა ან გა-
გონებდა ყველაფერს ღრმად ჩაუკვირდებოდა; თავისს

გუნებაში ბჭობდა... და კიდეც შეიქნა თავისი დროის
ერთი საუკეთესო მეტნიერთაგანი.

ადამიანსაც ბევრი რამ სასარგებლო ასწავლა:
გაიგო მან, მაგალითად, თუ რა სასარგებლოა ნათესა
იონჯაზედ „გიპსის“ მოყრა... ერთხელ დილიზ,
ცვარის აშრობამდე მოიხმო სოფლელები იონჯის მი-
ნდორზედ და იმათ თვალწინ მოაყარს „გიპსი“ ამოსულ
იონჯაზედ, ისე რომ გამოიყვანა შემდეგი სიტყვები:

„აქ მოურილია გიპსი“

ზავიდა რამოდენიმე კვირა, მონაყარ ადგილზედ
ამოუიდა სქელი, ღონიერი და მწვანე ბალაზი, ხოლო
გარეშემო დაბალი და ყვითელი. აღნიშნული სრ-
ტი ბი: „აქ მოყრილია გიპსი“ ისე გამოსჩანს თი-
თქო გამხმარ ყვითელ ველზედ მოწერილი იყო მა-
ღალი და მწვანე ბალაზით.

ფრანკლინმა გამოიგონა აგრეთვე მოსახმარი ღუ-
მელები, რომელიც მოითხოვდა ცოტა შეშას, სი-
თხოს კი ბლომად იძლეოდა და თან სადგომ თთა-
ხებში ჰაერსა სწრენდდა.

განსაკუთრებით მუნ გაითქვა სახელი მეხთამცუდენის
გამოგონებით. მეხთამცუდენი წარმოადგენს გრძელს,
წვეტიანს მავთულს, რომლის ერთს თავს სახურავის
თავზედ ამაგრებენ, მეორე თავდ ჩამოჰყავთ შენობის
კედლებზედ და მიწაში უშვებენ, როცა მეხი გავა-
რდება, ნაპერწყალი დაეცემა მავთულის ზევითა წვერს
და სინაზე ჩაირბენს მიწაში შენობის დიუზიანე-
ბლიად.

თუ როგორ კეთდება ეს ამნაირად, ამის ახსნას

ჩვენ აქ ვერ შევულგებით. ამას კი ვიტყვი, რომ
ეხლა ცოტათი რიგიანი ქალაქი არსად არის, რო-
მელშიაც მეხთამცდენი არ იყოს გამართული. პი-
რველად ფრანკლინის გამოკვლევა არ სჯეროდათ
და კიდეც ეშინოდათ.

ფრანკლინის მეგობრის ვესტის სახლზედ უნდათ
მოაწყონ მეხთამცდენი. მუშაობაა გამართული ...
ხალხი მიდი — მოდის და ჰკითხულობს:

— რას აწყობენ აქ?

— აი ფრანკლინს უნდა ამ ჭოკით ზეცილგან
ელვა მოიტყუოს.

— ეს როგორ შეიძლება?

— რაო, რაო?

— ფრანკლინი თუმცა ჭიშიანი კაცია, მაგრამ არა
მგონი, ამ შემთხვევაში ჭიშას არ ცდებოდეს? ამბო
ბდენ კაცები:

— მოშორდეს იქით, ქალაქი არ გადარუჯოს და!

— ეს რა მოუგონია? რა ცოდვას შევესწარით!
ელვა ღვთის ცეცხლია, და მაგ ცოდვის ჭურჭელს კი
მისი დამორჩილება... მოუწადინებია.

ამასობაში მეხთამცდენი მოაწყეს: ადრე იყო თუ
გვიან, ასტყდა ფილადელფიაში საშინელი ჭეჭა-ჭუ-
ხილი... აი შავი, შეკუმშული ლრუბელი მიუახლო-
ედა ვესტის სახლს.

შუჩაში დიდძალი ხალხი სდგას და შეჰყურებს...

— ღმერთო! შენ დაგვიფარე! — ღალადებდენ მეზო-
ბლები. ფრანკლინი კი არ გვაშორებს მეხს, პირიქით

იზიდავს, ჩვენი სახლებისაკენ...

— შეხე, შეხე, როგორი ღრუბელი დაადგა მავთულის წვერს!

— დამღუპველო! — იძახის ერთი,

— უღმერთო! — მეორე.

უცბად ჩელვა... მავთულის წვერზედ იმ წამშივე გაისმა საჭინელი გრიალი ჭუხილისა. მაყურებელთ გულის ცემა შეუჩერდათ...

ჭუხილი დაწყნარდა... შეხედეს, მაგრამ სახლი ისე სდგას, ვიფომც არაფერი მიჰკარებოდეს.

მეხთამცდენი ნამეტანი სასარგებლოა ხომალდე-
და გემებისათვის. მოხდებოდა ხოლმე, რომ
ხომალდების ანძებს დაკცემოდა მეხი, დალეწდა
და აღვილად შეწლეპოდა ხომალდიც დაეწვა! ეხლა
კი დაეცემა რკინის ჭოკა, ანძებზედ რო არის
მიკეთბული, ჩასდევს რკინას და მეხის ძალა იკარ-
გება ზლვაში, ხომალდი კი მთელი ჭ უვნებელი
რჩება.—

IV

როგორ ცდილობდა ფრანგელი შეეაუზავებია

კათილი ხასიათი და ზე—ჩვეულებანი.

ფრანკულინს დიდის თაღარიგით მიჰკავდა თავისი
საქმეები; მუდაშ რმის მეცადინობაში იყო,
როგორმე გაემდიდრებია ცოდნიო თავისი ჭკუა-გო-
ნება. ადამიანს, რომელსაც თავისი საქმეები წესიე-

რად მიჰყავს, რომელსაც არ აქვს სახეში სხვისი
მოტყუება, ყველა ენტობა; ცოდნას მხოლოდ
სულელი არა სცემს პატივსა.

ბევრს თუმცა თავისი საჭმე კარგიდაც მისიყვა,
მაგრამ ამით ის ვერავხს გულს ვერ მოიგებს, რა-
დგან სახეში აქვს მარტო პირადი სარგებლობა. და
სხვებისათვის თუნდა ქვა ქვაზედაც არ დადებულა.
ამაზედ უარესია, თუ ჩს აღაშიანებს სჩაგრავს... ზო-
გიერთს, იქნება, ბევრიც ესმო დეს, მიგრაშ იშაკი
და მიუკარებელი, მოტყუებასაც იკადრებს თუ სა-
ჭირო იქნება... ანდა თავისა ცოდნას არავის, არ-
გაუზიარებს.

რომ აღაშიანმა საზოგადო სიკვარული დიმისაზუ-
როს, საჭიროა კიდევ პატიოსანი — შემთვისებელი
ხასიათი ჰქონდეს და ჰრუნავდეს საზოგადო კოფილ-
დოებაზედ.



კარგი და კეთილი ხასიათი ურთბაშად — არავის ებ-
ლევა არის ერთნაირი არაკი ამ საგანზედ:

„ინდოელმა *) სთხოვა თამბაქო თავისს მეზობ-
ელს თეთრს; მეზობელმა ამოილო ჯიბილგინ მოელო
მუჭა და მისთავაზა ინდოელს,

*) ინდოელი ქვიან ინდოელის ტორისკაცს. ინდოელებს გაძევება
კანი მოწიოდეთ ფერისა აქვთ — ამიტომ მათ სამართლებრივ
„წოდელ კანიანებს“, ფერის და შავი ზანგვისაგან. განაჩინ-
ვად. ინდოელები ამერიკის მკვიდრი არიან. ოური და შავი
ხალხი გაჩნდა ამერიკაში ბევრად უფრო გვიჩ.

— და ეს გრძელი ეს თავისი მოვალეობა ინდოელმა მეზობელს და ეუბნება:

— აიღე უკან შენი ვერცხლის ფული. შენ ეს გუშინ თამბაქოსთან გაღმოვადგებოდა.

— ბარაქილა კაცი, გმადლობთ! რატომ ფული ას დაიტოვე—გამოვადგებოდა რამეში!

— ინდოელი გულზედ ხელი შიიკრა და უთხრა:

— მე აქ თითქო ორი კაცი მიზის: ერთი ბოროტი ჰქონდება კეთილი. ბოროტი მიჩურჩულებდა: „თვითონ მეჭობელმა მოგცა შენ თამბაქო და ფულიც, — შენი ილბალი ყოფილა, დაიტოვე შენთვის“. კეთილი კი მეუბნებოდა: ტყუჯლია, მას მარტო თამბაქოს მოცუმდა უნდოდა შენთვის თამბაქო შენდა, ფული კი შეცდომითა მოცემული, შეცდომით სარგებლობა არ ვარგა მე არ ვიცოდი რა მექნა. დავწევი ლოგინში. კეთილმა და ბოროტმა კაცებმა მაინც არ შესწყვეტეს დავა ჩემს გულში და მოვლი ლამე არ დამაძინეს. დილაზედ წამოვხტი და ესაა მოგიტანე ფული.

*

მის გულში არ ჭის „ბოროტი“ ჟაცი? ვინ არის ისეთი, რომ ის არ მობდეს, კეთილი კაცთან, — სინიდისთან!

„ფრანკულინა, დარწმუნებულია იცი რომ უკიეთილზეოდ ადამიანი ვერც თავისთვის მშეიქნება ბელნერი, ვერც სხვებისთვის ასეუცარელი“, და ამიტომ გადასწყვიტა ადგზარდა თავისთავში კეთილი ზნე — ხასიათი.

Ու տարու ցոյնեծանու ամեռածա: Եյ վարհեց կը տու-
լսա դա ծորոշէս սաքույզլս յրտման ցուուսացան.
մանասաձամյ—հյոմտարու մեցլու արա պաշտառաւուն յար-
գալ մռայիշը դա ազակուլու պահու սաքույզլու. մաշրամ
մալց դանաեա, հռմ յև ասց ազարունու առ օպու. հռմ
մեղրապատ ցախաճազուլունքս „եսուատու Շեմպազեծուս,
սաքմյ, ուրանյլունու ուզութան ցավամթածս, ույ հռչառ
ցաւուրու ման տարուսու եսուատու.

* * *

“შეადგინა მან სია კეთილბაზა: თვისებრიზ, რომელთა შეძენა საჭიროა ადამიანისათვის:

- 1) მოთმინება; 2) მღუმარება; 3) წესრიგი;
 4) გამბედაობა; 5) მომჭირნეობა; 6) შრომისმოყვარება; 7) სიმართლე; 8) სამართლიანობა; 9) ზომიერება; 10) სისუფთავე; 11) სიწყნარე; 12) თავმდაბლობა; ეს სია თითქმი მოითხოვდა.

1) ნუ გაძლები ისე რომ დანძლევა? უკიარებო-
დეს, ნუ სვამ? იმდენს, რომ თავი დაგიმძილეს
(მოთმინება).

2) ნუ ცრუმეტყველობ. ჩვენ მაშინ უფრო
მეტს ვსწავლობთ, როცა სხვებს უკრთხებთ,
მინამ მაშინ, როცა თვითონა ვყვაბედობთ. უთავბო-
ლოდ (მღუმარება).

3) ყოველ ნივთს თავისი ადგილზე უჩინე, ყოველ საქმეს თავისი დრო მოუნახე, (წეს ზიგი).

4) იქონიე გამბედალბა—მუდამ მზათ იყო ქმნას, რის აღსრულებაც სავალდებულოა; ერთგულად

ემსახურე შენს მოვალეობას. სხვანაირად რომ
ვსთქვათ: „ნუ ანებივრებ შენს თავს, (გამბედაობა).“

5) ნუ იქნები მფლანგავი, მოყკიდე იმისთანა
ხარჯებს, რომელიც აუცილებელია შენთვის ან
მოყვასისათ ვის (მომცირნეობა.).

6) ნუ დაჰკარგავ დროს: ეცადე ყოველთვის
გააკეთო სასარგებლო საქმე (შრომისმოყვარეობა.).

7) მხოლოდ გულწრფელობა და სიმართლე
ჩააგონებს აღამიანს კეთილს აზრებს. ნუ მისცემ
შენს თავს ნებას, რომ სინიდისის წინააღმდეგ
იმოქმედოს (სიმართლე).

8) გაუწიე აღამიანს სამსახური, რომლის მო-
თხვის უფლება აქვს შენგან (სამართლიანობა).

9) თავი ანებე ყოველივე ზედმეტს (ზომიერება)

10) ნუ დაუშვებ ნურავითარ უსუფთაობას
ნურც თავისთან, ნურც შენს გარშემო (სისუფთავე).

11) ნუ აღელვდები უბრალო რაიმეთი ანუ
აუცილებელი შემთხვევით, —სხვაფრივ ასე ითქმის:
წამხდარი საქმის გამო ნუ დაეცემი; ყოველთვის იქო-
ნიე სულის სიფხიზლე (სრმშვიდე).

12) ნუ ამაყობ აღამიანების წინაშე (თავშდა-
ბლობა).

* * *

ფრანკლინმა გაიჩინა უბის წიგნი, რომელშიაც
სალამოობით ნიშნავდა ჯვრის დასმით, თუ
დღეს რის წინააღმდეგ შოიჭუა. ამის გამო მას ყო-

ველი დღის გასულს უნდა მოეფიქრებია, გადაეჩხოკა
თავისი ყველა იმ დღის საქციელი.

იცოდა ფრანკლინმა, რომ ყველა კარგ თვისებ-
ებს ერთბაშად ვერ შეიძენდა და ყოველ კვირაობით
ერთს იმათვანს აქცევდა „განსაკუთრებითი უურადღებას“
იმ თვისების სახელს, რომელზედაც „განსაკუთრებით“
უნდა ეჩრუნა, აწერდა წიგნაკის გვერდზე. აი,
მაგალითისათვის, ერთი გვერდი მისი ჩასაწერი
წიგნაკისა:

მ ღ თ მ ი ნ ი გ ა

| კვები | დაბა- ბაცი | სამე- ბაცი | სამ- ხაცი | სამ- ხაცი | სამ- ხაცი | სამ- ხაცი | სამ- ხაცი | სამ- ხაცი |
|-------------------|---------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| მოთმინება | — | — | — | — | — | — | — | — |
| მდუმარება | † | † | — | — | — | — | † | — |
| წესრიგი | †† | † | — | — | — | — | † | — |
| გამბედაობა | — | — | † | — | — | — | † | — |
| მომჭირნეობა | — | — | † | — | — | — | — | — |
| შრომის მოყვარეობა | — | — | — | — | — | — | — | — |
| სიმართლე | — | — | — | — | — | — | — | — |
| საშართვ იან.ბ. | — | — | — | — | — | — | — | — |
| ზო მიერება | — | — | — | — | — | — | — | — |
| სისუფთავე | — | — | — | — | — | — | — | — |
| სიმშვიდე | — | — | — | — | — | — | — | — |
| თავმდაბლობა | † | — | — | — | — | — | — | — |

მუდამ უკვირდებოდა ფრანკლინი თავისთავს და შენიშნა, რომ არა ერთხელ სცდება. პირველად ძალიან ბევრი ჯვრების დასმა უნდებოდა. ნამეტურ ეძნელებოდა „წესრიგის დაცვა“...

მაგრამ ჯვრები თან და თან მცირდებოდა... ფრანკლინი გრძნობდა, რომ კეთილნი თვისებანი მტკიცდებიან მასში...

მაშინ წელიწადში მხოლოდ სამს თვეს ინიშნავდა თავისს ჩასაწერ წიგნაკში, ისიც იმიტომ რომ ყოველთვის „შემაგრებია თავი“ კეთილ გზაზედ.—

თავისი სიცოცხლის მე 79 წელში ფრანკლინი სწერდა: „მთელი ჩემი ბედნიერი სიცოცხლით მე დავალებული ვარ ჩასაწერი წიგნაკით“.

ზომიერებამ; მოთმინებამ მისცა მას ჯანმრთელობა; მომცირნეობამ, წესრიგმა, შრომის მრავარეობამ — ქონება და ცოდნა; ცოდნამ მიანიჭა ძალა ყოფილიყო აღამიანებისაოვის სასარგებლო პირი. სიმართლემ, სამართლიანობამ, სიმშვიდემ — ჩაუნერგა მისს თანამემამულებს მისდამი ნდობა?.— როგორც დავინახავთ შემდეგში — მას ირჩევდენ უმაღლესს თანამდებობაზედ; ცველანი მისს ნარჩევს დიდის ყურადღებით ისმენდენ და დიდის სიამოვნებითაც ასრულებდენ. ზომიერება, სულის სიფხიზლე კმა-ყოფილად აგრძნობინებდა თავისს თავს და იზიდავდა მისკენ აღამიანებს.

* * *

ფრანკლინს ჩვეულება ჰქონდა აგრეთვე —

დილ-დილობით თავისს თავს დაჰკითხოდა: „არ შე-
გიძლია შენ ქმნა რაიმე კეთილი?“ ხშირად უშვებოდა
სიკეთეს ადამიანებსა; ამასთანავე ცდილობდა მისი
დავალება ტვირთად არ გახდომოდა ვინმეს. მაგალი-
თად, გაუგზავნა მან თავისს გალარიბებულ მეგობარს
რვა ოქრო შემდგის წერილით:

„ ამ ფულებს მე შენ საჩუქრად არ გიგზავნი, არა-
მედ გაძლევ სესხად. როცა შენი საქმეები გამოკვე-
თდება და შეხვდებით თქვენებრ გაჭირებულ
კაცს, მიეცით მას, რაც მიიღეთ დღეს ჩემგან,
იმ პირობით, რომ იმანაც ამ გვარადვე დაეხმაროს
თავისს დროზე სხვა გაჭირებულს პატიოსან
ადამიანს. “ —

V

რიჩარდ სონდერსოს პალეოლიტი.

გეგნო თუ არა, რა დიდს ბეღნიერებას ანიჭებს
ადამიანს კეთილი ზნე-ჩვეულება, ფრანკლინს სუ-
რდა რომ ამ საშვალებით ესარგებლებია რაც
შეიძლებოდა მეტს რიცხვს ადამიანებსას.

ხშირად იტყვიან, რომ უმთავრესი მიზეზი ყო-
ველი დანაშაულობისა, ლოთობისა. ყოველგვარ
გარყვნილებისა — არის სილარიბე. ფრანკლინსაც
კარგად ესმოდა, რომ სილარიბეში, სისაწყლეში
ადამიანს გაუჭირდება ცხოვრების კეთილს გზას არ
გადაუხვიოს... ”

„ცარიელს ტომარას პირდაპირ ვერ დააყენებ; რაც უნდა აწვალო, ის მაინც წამოიქცევა!“ — იტყოდა ხოლმე ის.

მაგრამ ამასთანავე მოაგონებდა მათ, რომ „პირვე-
და ნაბიჯი სალარი იდგან გამოსვლისა, და მტკიცე
„ნიადაგზე დადგომისა“ არის მოთმინება, მომჭირნე-
ობა, წესრიგი და უბრალოდ ცხოვრება.

ყველა აშაგბზედ ის ბევრსა სწერდა პირველად
გაზეთში, რომელშიაც ცდილობდა ეწერა, რაც შეი-
ძლებოდა, უბრალო ენით, მდაბიო ხალხის გასაგებად.
მერმეთ კალენდარში, ომელსაც სცემდა შეუწყვე-
ტლივ 25 წელს (1732 წლიდგან 1757 წლამდე) ამ
სათაურით: „რიჩარდ სონდერსის კალენდარი“.
კალენდარი დაბეჭდისთანავე დაიყიდებოდა ხოლმე.
ბევრი „რჩევა კეთილი რიჩარდისა“ ანდაზებად გა-
დაიჭირა.

* *

აი ერთი შემოკლებული სტატია იმ კალენდრისა:
„ყველაზედ უფრო სიმძიმო ბეგარა ის კი არაა,
ძმებო, რომელსაც ჩვენ მართებლობას ვუხდით.
ზოგი ორწილ მეტს სწირავს თავისს სიზარმაცეს,
სამჯერ მეტს უბრალო ტრაბახს აღამიანების წინაშე,
თხჯერ მეტს — იავისს სისულელეს... ამასთანავე
ამ გადასახადებზედ არც შებრალებას და არც „დრო-
ვებას“, არავისგან არ უნდა მოველოდეთ. ამ შე-
მთხვევაში ღმერთი მხოლოდ მას წყალობს, უინც
თავისს თავს თვითონ შველის...“

ბევრსა ვკარგავთ ჩვენ „უქმობასა“ და „სიზარ-
მაცეში“. მთავრობამ რომ სამსახურისათვის მეათედი
ჩვენი დროისა მოგვთხოვოს, ჩვენ მას შეუბრალე-
ბელს ვუწოდებთ. აბა მიეცით თავი სიზარმაცეს, თუ
მან მეტი არ წაილოს შენგან? უქმად ყოფნა ასუ-
სტებს ადამიანს და კიდევ უმოკლებს სიცოცხლის
დღეს. უქმობა იგივე უანგია, რომელიც შრომაზედ
უფრო ადრე უსპობს ადამიანს სიცოცხლეს. თუ
გასაღები ხშირად ტრიალებს კლიტეში—წმინდა
რჩება, უსაქმოთ კი იუანგება—უანგიანი უვარგის-
დება. თუ გიყვარს ცხოვრება,—უფრთხილდი
დროს, იმიტომ რომ იგი დროისაგან მოქსოვილია.
ზედმეტს ნუ იძინებ: მძინარა მელა ქათამს ვერ და-
იჭერს. გამოძინებას საიქიოსაც მოესწრები“. „ყვე-
ლაზე უძვირფასესი სიკეთე დროა, მაშასადამე იმაზე
უარესი მფლანგავი არავინაა, ვინც დროს კარგავს.
ერთხელ დაკარგულ დროს თავისს დღეში ვერ დაი-
ბრუნებ. ლაპარაკობენ: „დრო კი კმარაო“: .. სრუ-
ლებითაც არა! დროში მუდამ ვგრძნობთ ნაკლე-
ბულობას“.

„ზარმაცს ყველაფერი უმძიმს, ბეჯითს ყველაფე-
რი ულხინს. სიზარმაცე ნელის ნაბიჯით მიღის წინ,
ამიტომ სიღარიბე ჩას ადვილათ დაეწევა.“

„ნუ აიმედებ შენს თავს—ასე არ იქნება მუდამ.
დრო გამოიკვლებაო. გიჯობს ძალა თვითონ მოიკ-
რიბო—მოიფიქრო და შენვე მოიპოვო. შემთხვევის
მოიმედე ნუ დარჩები; ვინც მას შეკჰერებს ის

შეიძლება — სიმშილითაც მოკვდეს.

ხელობის მცოდნე იგივე მემამულეა. ვისაც თავი უვარება, მას შემოსავლიანი და პატივ-სადაც ბი ადგილიც აქვს. ხელობა და თავი — აი რამ უნდა გვარჩინოს. ამ შემთხვევაშიაც შეიძლება სიმშილმა ფანჯარაში შემოგვიჭვრიტოს, მაგრამ შიგნით მაინც ვერ შემოგვეპარება". —

შეიძლება იკითხოს ვინმემ: „რაო, სულ შრომა და ჯაფა, მოსვენება კი არაა საჭირო?“ „ მე ამას არ ვლაპარაკობ. უქმაღ ყოფნა და მოსვენება ერთი და იგივე როდია. ნამდვილს მუშას მოსვენების დროც ურჩება: საქმესაც თავისი დრო გააჩნია — მოსვენებასაც თავისი უამი“.

„თუ გინდა მოსვენებისათვის დრო გრჩებოდეს, დაიცევი საქმეში წესრიგი. ბევრს დროს ის მოირჩენს, ვინც მას ანგარიშით ხმარობს. მუშაობაში წესრიგი დროს ახვავრიელებს“.

„ნუ გადახტები ერთი საქმილგან მეორზე — ერთი ადგილიდგან მეორეზე. ხეს გადარგვა ღუპავს, დაუდგრომელს — ოჯახი არ უვარება. სამჯერ გადასახლება — ერთჯერ გადაწვას უდრის“.

„თუ შენ ოჯახს უპატრონებ, ისიც შენ გიპატრონებს. როცა შენს საქმეებს გამოაწყობ და მუშას თანაშემწედ აიყვან, მაშინაც ნუ მოსცილდები საქმეს. ვინც გუთნით გამდიდრებას მოელის, ის გუთანს თანდასდევს. ნამდვილი მეოჯახე სამუშევარში

მუშებზე წინ მიდის. მეპატრონეს თვალი ნაქირავბ
ხელებზე უკეთესად მუშაობს. დაუდევრობა. უცო-
ლინარობაზედაც უარესია. თუ გინდა ნამდვილი მო-
სამსახურე გყავდეს — თვითონ ემსახურე თავისს თავს.
თუ გინდა შენი საქმე გააკეთო თვითონვე
მოჰკიდე ხელი; ხოლო ოუშენთვის საჭირო არაა — გა-
დაეცი სხვებს“.

„ოჯახში წვრილმანი არაფერია, ყველაფერი სა-
ჭიროა. ნალს ლურსმანი დაძვრო, — ნალი დაიკარგა,
უნალოთ ცხენმა ფეხი გაიფუჭა; უცხენოდ კაცმა-
მტერს თავი ვერ დაიხტია.. ჩავარდა მტრის ხელში
და ღაიღუპა. დაიღუპა იმიტომ, რომ თავისს დროზე
ლურსმანზედ არ იზრუნა.“

„ამნაირად უწესრიგობას და უბეჯითობას ცუდი-
შედეგი მოსდევს. დაუზოგველობასაც არა ნაკლებ
ცუდი შედეგი გრძელდება. ვისაც შენახვის თავი არ
აქვს, მთელი საუკუნეც რომ იშრომოს, მაინც მათ-
ხოვრად მოკვდება, ოჯახს ერთს გროშსაც ვერ და-
უტოვებს. ჩვენ გვინახავს ქონება რა ადვილად შე-
უძენიათ... მაგრამ იქავე გაუბნევიათ, რადგან საქ-
მისათვის თავი მიუნებებიათ. ქმარმა ხელი აიღო სა-
ხნისზე, ცოლმა თითისტარზე, ოჯახობა დარჩა
ღვთის ანაბარად! ტომარს რო თითო მუჭა ფქვილი
აკუთ, და შიგ მაგიერი კი არ ჩაუმატო, ფქვილი
მალე დაგელევა. ჭა რო ამოგიშრება, წყალზე
წუხილი გვიანლაა. ქონებას გაჰფანტავ — ფეხსაც
ვერ მოიდგამ. ცარიელს ტომარს პირდაპირ ვერ

გააჩერებ—სულ გვერდზედ წამოიქცევა.“

„თუ გსურს ქონების შეძენა, თავი ანებე ოხრობას და უბრალო თავმოწონეობას ახალგაზღიუბაში მოქეიფე სიბერეში მათხოვარი შეიქნება. რაც ოხრობაში და თავმოწონებაში გასის, იმ ხარჯით ორი ბავშის აღზრდა შეიძლება.“

„თქვენ იტყვით: — „როგორ იქნება, ზოგჯერ მაინც არ გადაჰკრას კაცმა ზედმეტი; არც ის დააჭ-ცევს კაცს, რომ სადლესასწაულოდ გამოეწყოს. “ უნდა გახსოვდეს, რომ კალი მარცვლებისაგან შეძგება. ერიდე წვრიმალ ხარჯებს: ხომ იცი გემს პატრა ნახვრეტი ჰლუპავს.“

„დაუჭირვებლად ნურაფერს იყიდი. — ზოგჯერ ვაჭრები იაფ საქონელს მოგაწოდებსთ მყიდველთ და თქვენც ხელათ დაუსაღებთ: რა ვუყოთ, რომ იაფია, თუ კი შენ არ გჭირია? იაფი საყიდელები კაცს დააჭცევს.“

„ზოგიერთი ცარიელი კუჭით დაწვება დასაძინებლად; ოჯახობას სიმშილით დახოცავს, ოღონდ კი მასპინძლობით ხალხი გააკვირვოს. ზოგს მორთვა ყველაფერს ურჩევნია. ტანზედ ფარჩები, კუჭი კი ცარიელი! მორთვა პურს არ შეგმატებს და არც საჭიროებას შეადგენს. მას უფრო ამპარტავნობისათვის ეტანებიან. ამპარტავნობა საჭიროებაზედ უარესი ჭირია; იყიდი ერთ რამე ნივთს გამოსაჩენად, მასარან ათი სხვა რამე დაგჭირდება, რომ ერთი მეორეს უხდებოდეს თვალებს არ გჭრიდას: ხავერდის

ახალოხთან დაფლეთილ წალებს ხომ ვერ ჩაიცვამ? უფრო ადვილია ხელი აიღო პირველ საყიდელზე, მინემ ყველაფერს გამოეკიდო, რასაც ის შემდეგ მოითხოვს. იტყვიან: „ერიდე პირველს ყანწსაო!“ არაფრად უკეთესია პირველი ამპარტავნობაც. ამ-პარტავნობა ახალგაზდობისას იპრანჭება, სიბერეში კი წითლდება...“

ან კი რა გამოდის ამპარტავნობისაგან, რის გამო, როგორც შენ ისე შენს ნათესავებს ბევრი უსიამოვნების ატანა მოუხდებათ? ის ვერც ჯანმრთელობას მოგანიჭებს, ვერც ტკივილს შეგიმ-სუბუქებს. ამპარტავნობით ვერც პატივისცემას დაიმსახურებ: სულელს შეშურდება, ჭკუიანი კი გაგკიცხავს... ამპარტავნობიდგან გაჭირებამდე დიდი მანძილი არ არის.“ — უხეირობაში ქონების დახარჯვა სისულელეა, — მეტი სისულელეა უხეირობისა-თვის დავალიანება. ვინც ვალს იღებს, ის თავისუ-ფლებას უნდა გამოეთხოვოს. — ვალით ჭამას უჭმელობა სჯობით — იტყვიან. სიმშილისაგან დავა ლისნება გაჭირებაა, ამპარტავნობისათვის ვალის აღება დანაშაულობაა“. უფრო მოკლედ ცხოვრების სიბრძნის საფუძველი: შეიძინე ბეჯითობით, შე-ნაძენი შეინახე. ამ გვარი სიბრძნე ტყვიას ოქროდ აქცევს.“

„დასასრულ ვიტყვი: გამოცდილება საუკეთესო სკოლაა. სულელებს მაინც ამ სკოლის ცოდნა არა სურთ. სკოლაშიაც გამოცდილებას ნაკლებად

იძენენ. რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?... ჩვენ შე-
გვიძლია კეთილი რჩევა მივსცეთ ადამიანს, მათი,
ასრულება ადამიანების მაგიერათ კი არ შეგვიძლია,
ვინც რჩევას ყურსარ უგდებს, მას ვერც დაეხმარები
ჯიუტი თუ არ გაგიგონებს, მაშინ მაინც იგრძნობს,
როდესაც გაჭირება მიაღვება. —

VI

მრთი კაცი ჭავაშიაც ბრალია.

3რანკლინი ძლიერ ცდილობდა როგორმე შეეძინა
ცოდნა, კეთილნი თვისებანი და გამხდარიყო
თავისი ქვეყნისათვის სასარკებლო კაცი; ამასთანავე
ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თვით
ღრმად განათლებული და საუკეთესო კაციც — ერთი
ჭამაშიაც ბრალია. — ამის გამო ის თავს უყრიდა იმი-
სთანა კაცებს, რომელთაც მიზნაზ ჰქონდათ გამხდა-
რიყვნენ მცოდნენი, კეთილნი და საზოგადოებისა-
თვის სასარგებლო პირნი.

თავი მოუყარა მან პირველად თვისს გარშემო
თერთმეტამდე კაცს. იმათ პირობა დასდვეს დახმარე-
ბოდენ ერთმანეთს კითხვაში, ხელი შეეწყოთ ერ-
თმანეთისათვის კეთილ თვისებათა შესაძენად, საერთო
ძალით დაპკვირვებოდენ, რაც ხდებოდა მათ გა-
რშემო; დაპკირდენ ყოველივე კეთილისათვის შეძლ-
ებისამებრ შემწეობა აღმოეჩინათ, ხოლო ბოროტე-
ბას და უსამართლობას წინააღმდეგომოდენ.

აშ ჰატარა წრეს ფრანკლინმა დაარქვა „იუნტა“. სიტყვა იუნტა“ ისპანურია, ქართულად ნიშნავს „კავშირს“.

თვითეული წევრი კავშირისა პირდებოდა „ყოვლის უმეტეს სიმართლე შეეყვარებია, განურჩევლად მისდა — გამოსადევია იგი მისთვის თუ არა. აგრეთვე შეეყვარებია ყოველი ადამიანი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა.“ ეს მისთვის იყო საჭირო, რომ, რა საგანზედაც უნდა ჩამოეგდოთ მსჯელობა, სიმართლე მიუდგომლად დაეცვათ. —

ვინც მსჯელობის დროს ანგარიშობს, თუ რომელი განაჩენი უფრო სასარგებლოა მისთვის, ის სიმართლეს კი არ დაეძებს, არამედ თავისს სარგებლობას. განა შეიძლება სამართლიანი იყოს ის მსაჯული, რომელიც საქმის მოტრიალებას მაინცა და მაინც მომჩინანის სასარგებლოდ ცდილობს?

სწორედ ამ გვარადვე ძნელია სიმართლის დაცვი მაშინაც, როცა ერთს მტრულის თვალით უცქერ — მეორეს მოყვრულის ადამიანი საზოგადოდ სუსტია, თვითონაც ვერ შენიშნავს, თუ ერთს რამდენად უმხრო და მეორეს რა უზომო მკაცრად მოეპყრო.

საზოგადოების წევრნი მით უმეტეს ცდილობდენ არავითარი განხეთქილება არა ჰქონილათ ადამიანებთან მათი სარწმუნებისა გამო, რომ იმ დროში, როცა ფრანკლინი ცხოვრებდა, ამერიკაში

გავრცელებული იყო შური და განხეთქილება სხვა
და სხვა აღმსარებელთა და მწვალებელთა შორის.
დავობდენ ქრისტიანები ურთიერთ შორის მის გამო,
თუ როგორ ელოცნათ, როგორ გაეგოთ ესა თუ
ის სტრიქონი საღმრთო წერილისა, სახარებისა.
უმთავრესი მცნება უფლისა კი ავიწყდებოდათ:
„ცხოვრებდეთ მშვიდობიანათ და თანხმობით... გი-
ყვარდესთ ურთიერთი ვითარცა თავი თვისი... და ყოვე-
ლივე ესე თავისთავად შეგეძინოს თქვენ“.

* *

იმ ხანებში შრავალნი გადაიხვეწენ ევროპიდგან
ზღვის გაღმა — შორეულს ამერიკაში, სარწმუნოებისა-
თვის გამოწვეული დევნის გამო. ფრანკლინის თა-
ნა მემამულენი სანახევროდ წარმოსდგებოდენ იმ
ოჯახებიდგან, რომლებიც გადმოვიდენ ამერიკაში
მის გამო, რომ მეფენი და ინგლისის სამლენოე-
ბა სდევნიდენ იმათ მათი სარწმუნოებისათვის. ამგვარს
ოჯახს ეკუთვნოდა თვითონ ფრანკლინიც.

ბევრი წვალება გამოიარეს სარწმუნოების გამო
გადახვეწილებმა, სამაგიეროდ თვითონაც მზად იყ-
ვნენ ედევნათ ყველა, ვინც მათებრ არ ფიქრობდა
და არ ლოცულობდა. გადმოსახლდენ ინგლისიდგან
იმიტომ, რომ არ ლოცულობდენ ინგლისის წეს-
ჩვეულებაზედ და იჩენდენ სხვა და სხვა მიღრეკილე-
ბას. ამის გამო მათ შორის არავითარი თანხმობა
არ იყო.

ფრანკლინი და მისი მეგობრები ხედავდენ რა

უზომით შფოთი, აკალ-მაყალი და უთანხმოება. იბაღებოდა იმის გამო, რომ თვითეულს მათგანს თავისი სარწმუნოება უნდოდა ძალად მიყდებინებია სხვისთვის და — ცდილობდენ ჩაეგონებინათ თანაძე-მამულეთათვის, რომ იმ აზრთა წინააღმდეგ ბრძოლა, რომელნიც ჩვენ შემცდარათ მიგვაჩნია, შეიძლება მხოლოდ მშვიდისა და გულწრფელის ქადაგებითა და არა ძალ დატანებით. ცდილობდენ ჩაეგონებიათ, რომ სინდისის საჭმეში ჩვენი მსაჯული ღმერთია და არა ადამიანი.

ფრანკლინს არა ერთხელ წაუკითხავს თავისი მე-გობრებისათვის შემდეგი იგავი:

„სალამოს, უამსა მზის დასვლისასა, იჯდა აბრაამი, კარავსა შინა თვის სა.“

„აი მოხუცი, ვინმე, მიეახლა მას, მომავალი უდა-ბნოდგან, დაბჯინებული კვერთხსა ზედა თვისსა.“

„იხილა რა აბრაამმა კაცი იგი, აღგა, მივიღა მა-სთან და უთხრა: „გვედრებ შენ, იხილე კარავი ჩემი, განიბანე ფეხნი შენნი და მოისვენე კარავსა ამას შინა. დილით აღგე რა, ისევ განაგრძე მგზავრობა სურვილისამებრ შენისა.“.

„რქვა მოგზაურმან: „„უმჯობეს არს დარჩენა ჩემი ხისა ამისა ქვეშე.““

„მაგრამ აბრაამი არ ეშვებოდა მას და კვლავ გვედ-რებოდა, და შევიდა მოგზაური იგი კარავსა მისსა, აბრაამმა გამოაცხო ხმიადები, მიირთვეს და გაძლენ.“

„დ იხილა რა აპრაამშან, მოგზაურმან არა შესწირა

მადლობა უფალსა, ჰეითხა მას: „რატომ არ უძღვენ
შენ ქება უფალსა, შემოქმედსა ცისა და ქვეყნისა?“

„და მიუგო მოგზაურმან: „მე არა ვსცემ თა-
ყვანსა იმ ლმერთსა, რომელიცა შენ გრწამს, და არცა
ვიხსენიებ სახელსა მისსა. მე თაყვანსა ვსცემ სხვა
ლმერთსა და ვიხსენიებ მას ლოცვათა შინა ჩემთა“

„და აინთო აბრაამი რისხვითა დ ადგა და განდევნა
მოგზაური იგი.“

„ხოლო უამსა შუალამისასა ესმა მას ხმა უფლისა:
„აბრაამ, აბრაამ, სადა არს სტუმარი შენი?“

„მიუგო მას აბრაამმან: „უფალო! მან არა ისუ-
კვა თაყვანის ცემა შენდა დ არცა ხსენება სახელისა
შენ ისა და ე განვაგდე უგუნური იგი უდანოში.“

„რქვა მას უფალმან: „მოხუცი იგი არს
ას-ოთხმოცდა თვრამეტის წლისა. მე ას-ოთხმოცდა
თვრამეტი წელიწადი შემინახავს იგი, მიუხედავადა
მისი შეცდომილებასა, და შენ, ცოდვილო, ერთი
ღამეც ვერ მოგითმენია ურწმუნოება მასი? ნუ თუ
შენა ხარ უმაღლესი მსაჯული სულსა ზედა მისსა.“

ხოლო აბრაამი ევედრებოდა: „ნუ განაძლიერ ებ
რისხვასა შენსა მონასა ზედა შენსა, უფალო, შეგცოდე
და გვედრებ შემინდევ მე!“

„და საჩქაროდ აღსდგა და წარვიდა უდაბნოსა
და გულმოდგინედ დაეძებდა მოგზაურსა მას;
ჰერვა იგი და დაარუნა კარავსა თვისსა და მოწი-
წებით პატივი სცა სას და დიდის საჩუქრით
გაისტუმრა იგი.“

„და მეყსეულიდა მოუწოდა უფალმან აბრააშია და რქვა: „ უენი ცოდვისა გამო მე წავიყვანა შთამომავლობასა შენსა მხარესა მას უცხოსა და მუნ დაპყოს მან ოთხასი წელი გლოვასა შინა დიდსა“ “

„ „მაგრამ ვიხილე რა სინანული შენი—ისევ დავაბრუნო იგი მოსილი დიდებითა და ძლიერებითა.“ “

საზოგადოების წევრნი იკრიბებოდენ პარასკევობით მეგობრული ბაასისისათვის. ვინმე მათგანი წაიკითხავდა სტატიას, რაზედაც სურდა. თვითეულს მათგანს მოვალეობად ჰქონდა დადგენილი წელიწადში ოთხი სტატია მოემზადებია.

წაეკითხათ უნდა რაიმე შესახებ ისტორიისა, სხვა-და სხვა ქვეყნების აწერილობისა, მათი ცხოვრებისა და წესწყობილობისა; განმარტებდენ ცნობებს ბუნების მოვლენათა შესახებ; ყოველ დღიურ ვარამსა და სხვა...

შემდეგ წაკითხულის შესახეპ გაიმართებოდა მსჯელობა. წევრნი თვალყურს ადევნებდენ, არავის არ მოენდომებია დავაში ჯობნება, არ ცდილიყო უსათუოდ თავისი გაეყვანა; უკვირდებოდენ, რომ თვითეულს აზრად ჰქონდა, როგორმე ჰქონდა აზრი გამოეტანა წაკითხულიდგან.

ზრანკლინის ნაწერებში ვკითხულობთ: „,ჩვენმა,

ამხანაგობამ იმდენი სარგებლობა მოიტანა და იმდენი სულიერი კმაყოფილება მიანიჭა წევრებს, რომ ბევრი მათგანი გვთხოვდა წევრებად მათი მეგობრებიც შემოგვეყვანა. მაგრამ ამის შესრულება მოუხერხებელი იყო: ჩვენ იმ თავიდამვე დავადგინეთ ამ კავშირში თორმეტ წევრზედ მეტი არ მიგვეძლო. ამ დადგენილობის შეცვლა არ გვინდოდა; მაგრამ ეს კი ვურჩიე, თვითეულს წევრთაგანს შეედგინა, მსგავსად ჩვენი „კავშირისა,“ ცალკე ახალი წრე. “

„ეს წინადადება მათ მოიწონეს. ბევრმა ჩვენიანგანმა სცადა შეედგინა ამგვარი თავისი საკუთარი წრეები.“

ფრანკლინის „იუნფას“ მსგავსი პატარ-პატარა კავშირნი მრავალი შესდგა. ჯერ ფილადელფიაში და შემდეგ ამერიკის სხვა ქალაქებშიაც, სხვა-და სხვა სახელწოდებით: „ვენახი“, „ბალი“, „წრე“ და სხვა... ამერიკელები ეჩვევოდენ თავისუფალი დრო მოეხმარათ გონების სავარჯიშოდ, დაჰკვირვებოდენ თავისს თავს; ეჩვევოდენ შეეგნოთ საზოგადო საქმეებს მსვლელობა; ეჩვევოდენ თანაეგრძნოთ და დახმარებოდენ ყოველრვე კეთილსა, უსაშართლობას, უკანონობას და ძალმომრეობას წინალდგომოდნენ. ამ კავშირებმა უფრო მჭიდროდ შეარრთეს ახალშენები საზოგადო კეთილდღეობისათვის: მრავალი საუკეთესო საზოგადო ზომები გაარჩიეს და შეიმუშავეს ამ კავშირებში. სანამ ეს ზომები

აღსრულებაში მოიყვანებოდა, კავშირები განუმარტავდენ მკვიდრთა იმათ მნიშვნელობას.

* *

„იუნტასი“ ერთი უმთავრესი საქმე იყო საზოგადო ბიბლიოთეკების დაარსება.

საიდგან მოიპოვოს ღარიბმა კაცმა წიგნი? ეხლა ამ საჭიროებას საზოგადო ბიბლიოთეკები აკმაყოფილებს. სულ მცირე სასყიდლით (ზოგან კი სულ უფასოდაც) შეიძლება გამოიტანოს კაცმა წიგნი საკითხავად. ხეირიან ბიბლიოთეკაში იმისთანა კაციც მოიძებნება, რომელსაც შეუძლია უჩვენოს — რომელ ნაწილში რომელი წიგნაკები უკეთესია; ბიბლიოთეკებს ეხლა დაბა-სოფლებშიაც აარსებენ. თან და თან პიბლიოთეკები ისეთ მიუცილებელი საჭირეობად ხდება, როგორც „პური არსებითი“ ამ გვარი ბიბლიოთეკების დაფუძნება მოიფიქრა ფრანკლინის მიერ დაარსებულმა კავშირმა“; მანვე დაარსა პირველი ბიბლიოთეკები: ესვი არაა ამით სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია.

ფრანკლინისა და მისი მეგობრების მეცადინეობით ფილადელფიაში დაარსდა სამაგალითო სკოლები, პირველი საზოგადო საავადმყოფო ამერიკაში, თავ-შესაფარი დარისათვას... მათიც მდცადინ გობრ. ჭილადელფია მთლად გამოიცვალა: ყოველი კუთხე მისი მოკენჭეს გაანთლეს, წლიწლივეს თავისუფალი ცეცხლის მქრობელი რაზმები, ღაძის ყარაულები და სხვა...


VII


ინგლისი და ინგლისელი ახალშენები ამარიკაში

ერთი ძველი ანდაზაა, რომელიც არასოდეს არ
უნდა დაივიწყოს კაცმა:

„თანხმობით პატარაც გადიდდება, უთანხმოებით
კი დიდიც დაპატარავდება“, რომ საზოგადო საქმე-
ში თანხმობით და საერთო მაღია კეთილგონიერი
შრომა სასარგებლოა, ეს აზრი ფრანკლინის. მიწის
შვილთ მალე შეიგნეს და კიდეც გამოიყენეს.

ცხოვრება მათ ახალ ქვეყანაში საზოგადოთ არ
ეხერხებოდათ და ისეთი ხანაც დაუდგათ, როცა
მიუკილებელი საჭირო შეიქნა მათი ცხოვრების
გაუმჯობესობა.





საჭიროა რამოდენიმედ მაინც გავიცნოთ ის მხარე, სადაც ფრანკლინი სცხოვრებდა.

დედა მიწის ზურგზედ წყალი უფრო მეტია, მინამ ხმელეთი როგორც ხედავთ ამ ნახატზედ, ხშელეთს, უმთავრესად, ორი დიღი კუნძული შეადგენს: ერთს უწოდებენ „ძელ ქაუკანის“ მეორეს – „ასალ ქაუკანის“

ქველს ქვეყანას სამი ნაწილი შეადგენს: პატარა ქართველია, ვებერთელია აზია და აფრიკა. *)

ახალ ქვეყნის უმთავრესს ნაწილს „ამერიკა“ შეადგენს. იმას უჭირავს თითქმის დედამიწის მეორე

*) აზია საგან თონარებული ეკონომიკური, აფრიკა სამჯერ გდიავს „ეკონომიკური“

ნახევარი, ნაწილი. — ჩრდილოეთიდგან დაწყებული სამხრეთამდე. შუაზედ იგი ვიწროვდება და წარმოადგენს მიწის ვიწრო ზოლს, რომლითაც ჩრდილოეთ ამერიკა უერთდება სამხრეთ ამერიკას. *)

დედამიწის ყოველ ვიწრო ზოლს, რომელიც ღრუდიდს ხმელეთის ნაჭერს აერთებს, ეწოდება „ეკლი“ მაშასადამე ჩრდილოეთ ამერიკა უერთდება სამხრეთ ამერიკას (პანამის) ყელით.

* *

ძველს ქვეყანას ახლისაგან აკალკევებს ვებერთელი წყლის მანძილებით ოკეანები.

როგორც ნახატებზედაც სჩანს, ერთი მათგანი კალის მხრით ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირს ეკვრის; მეორეთი — ევროპას და აფრიკას. ეს „ატლანტიკის“ ოკეანეა. მეორე ოკეანე ამერიკის დასავლეთ და აზის აღმოსავლეთ ნაპირებს აკრავს. ეს „დადა“ ანუ „წენარი“ ოკეანეა.

ატლანტიკის ოკეანე ამერიკის შუა წელში წარმოადგენს მოზრდილ „ყურეს“ (ვალივ). ეს „ყურე“ ზემოხსენებულს პანამის ყელს აკრავს და ამგვარად ჩრდილო ამერიკას ჰყოფს. სამხრეთ ამერიკის აგან „ყურე“ მოფარულია მრავალი ღიღი და პატარა კუნძულებით. შუაზედ რომ პანამის ყელი არიყოს, ყურეს წყალი შეუერთდებოდა ღიღი ტკეანეს, წყლებს

*) ამერიკა ცოტათი აზიაშ და ნაკუებია; სახელდობ, ჯარიგი ამერიკა ორგვერ მეტია ევროპაზე; ჩრდილოეთ ამერიკა რაჭენიმედ აღემატება სამხრეთ ამერიკას.

და მაშინ ჩრდილოეთ ამერიკა სრულიად განცალ-
კევლებოდა სამხრეთ ამერიკისაგან.

ჩვენნი წინაპარნი (ძველი ქვეყნის შკვიდრნი) ასი
ათასი წელი ცხოვრებდენ და „ახალი ქვეყნის“ არ-
სებობაზედ არა იცოდენ რა.

დიდი ხნიდგან ეჭვით იცოდენ, რომ მიწა პუ-
რთივით მრგვალი უნდა იყოსო. ოთხასი წლის
უკან ერთმა იტალიელმა — კოლუმბმა ითიქრა: „თუ
დედა მიწა მრგვალია, მოდი გავცურავ მე ევროპიდგან
სულ პირდაპირ და პირდაპირ დასავლეთისაკენ...
და უსათუოდ გავალ აზის ნაპირზედ“ მას უნდოდა
გასულიყო იმ მდიდარს ქვეყანაში, რომელიც აზრის
სამხრეთ მხარეში სდევს, ე. ი. ინდოეთში.

ისპანიის მეფებმა და დედოფალმა თანაუგრძნეს შაშ
და მისცეს ხომალდები. გასწია მან მხსმიურ ამოჩე-
მებული ქვეყნისაკენ, იარა, იარა სულ ოკეანეთი...
ბოლოს დაინახა მაწა, მან შიაღწია იმ კუურეს
კუნძულებთან, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკას აკა-
ლკევებს სამხრეთ ამერიკისაგან, თვითონ კი აშ
დროს დარწმუნებული იყო — „ინდოეთში მივეღიო
ახალ-ნახულიდ ქვეყნის მცხოვრებლებს“ დაარქვა
ინდოელები და მექსიკის ყურეზედ მდებარე კუნძუ-
ლებს — ანდოეთი.

*). ნიმდვალუ ინდოეთი აშიაშია. კი პრა ამერიკაში
მას შემდეგ კი, რაც კულუბმა ამერიკა, აღმოაჩნა და შექსიკის
კუნძულებს ინდოეთი უწოდა, ერთმანეთისაგან გასარჩევად აზის
ინდოეთი (ამდვიცე ინდოეთი) აღმოსავლეთ — ინდოეთად უწოდ-
ება (უცხო ენოთ — ვესტ ინდია). ამერიკისას კი გასავლეთ-ინდ-
ოეთად — ისტ-ინდია. ეხლაც ასე ამბობან: გერტ-ინდია, ისტ-ინდია.

იმას მაშინ აზრადაც არ მოსულია, რამ ინდოეთში გასავალი გზა გადაღობილია სუვამიწის ჭახლი ქვეყნით — ამერიკით. კოლუმბობრტოლაც წარტყმა ამ მხარეს.

მხოლოდ რამთდენიმე წლის შემდეგ გვივეს, თუ რა ალმოაჩინა კოლუმბმა; ვაიცნებ დიდო კვეულები, მოიფიქრეს თუ როგორ შესულიყვნება მსამართი და იქიდგან როგორ გასულიყვნენ აზიის ნაპირებისაკენ, (სამხრეთ ამერიკის, შამორუებით).

ახალ ქვეყანაში კოლუმბს თან გაჰყვნენ ჯარალისანელები, პორტუგალები ინგლისელები, ფრანგები, გოლანდიელები...

იქ ბევრი ოქრო, ვერცხლი, დანოუიერი, მიწების აღმოჩნდა და პირველ ტანებში ევროპელები უფრო იმ აზრით მიღიოდენ ამერიკაში, რომ ჩერია მგამდიდრებულიყვენ. თვითონ, ისინი ცოტას ცუშავოთ ბდენ, ინდოელებს ყველაფერს ართმევდენ, რის წარმევაც კი შეეძლოთ, ყანებშიაც და მაღნებშიაც იმათ ამუშავებდენ და თან ძრიელ სისტიკადაც. ექცევოდენ... ახალ მისულნი ევროპიელნი ნამდვი ჭამტაცებელ და მძარცველ ყაჩაღებს წარმოადგენდენ. როცა ჭარწმუნდენ, რომ მძიმე სამუშეფარის ატანა ინდოელებს არ შეეძლოთ, მოიფიქრეს აფრიკაში „ზანგების“ ყიდვა, რომლებიც ხომალდებით ჯაღმოკუავდათ ამერიკაში უუმძიმეს მონობისაზე. ამ გვარად წითელ კანიანების ქვეყანაში, გარდა მათი დამცყრო-

ბელის „თეთრებისა“, გაჩნდენ „შავი შონებიც“.

ზავიდა რამდენიმე ხანი და ამერიკაში იწყეს გა-
დასვლა არა მარტო ხელათ გამდიდრებისათვის არა-
მედ პატიოსანი შრომისათვისაც. ამნაირად მრავალი
პატიოსანი ხალხი გადმოსახლდა ინგლისიდგან
ჩრდილოეთ ამერიკაში ატლანტიკის ნაპირებზედ.

ინგლისიდგან გადმოსახლებულთა შორის მუტის
მეტი შრომის მოყვარე და სასარგებლო იყვნენ ას
კაცები, რომელთაც სამშობლოში სდევნიდენ სარწმუ-
ნოების გამო, როგორც „მწვალებლებს“.

მაგალითად, 1620 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში
ატლანტიკის ნაპირებზედ გადმოსახლდა ას ორი პა-
ტიოსანი ქრისტიანე, რომელნიც ინგლისის მეფემ
ძალად გადმოასახლა სამშობლოდგან, რადგან ისინი
არ ლოცულოსდენ ისე, როგორც მეფეს სურდა.
მრავალი წელი იხეტიალეს საწყლებმა, სანამ დახა-
დგომ ბინას იშოვნიდენ და დაესახლებოდენ ჩრდი-
ლოეთ ამერიკის უდაბურს ნაპირებზედ. მაღა იმათ
მიემატათ მათვე მსგავსნი „მწვალებელნი“ მათ მი-
ერ დასახლებულ ადგილებს დაერქვა მსსახურები.
გადმოსახლებულებმა გააშენეს რამოდენიმე ქალაქი,
სხვათა შორის.

ბოსტონიც,*) რომელიც ეხლა ძლიერ მდიდარია

*) სამშობლო ფრანკლინისა (ის. 1 გვ.) პაპალა მამაც
ფრანკლინისა იმიტომ გადმოვადან ინგლის დგან ამერიკაში, რომ
არ ედალატათ თავიანთ რწმენის თვის.

და დიდის პატივით იხსენიებს „მათი კეთილდღეობის
მიზეზს — ას ორთა მამამთა“.

სამოცურ წლის შემდეგ ერთმა მდიდარმა ინგლისე
ლმა „ჰენრი მეორე ამისივე მსგავსიახალ შენი დაარსა.
ორასის თუ სამასის ვერსის სიშორეზედ ბოსტონიდგან
მან საკუთარი საშვალებით დაასახლა 20, 000 „მწვა-
ლებელნი“ — კვაკვერები (იხილე გვ. 19). იმ ტყეებიან
ადგილებს, სადაც გადმოსახლებულნი დაბინავდენ
დაერქვა ჰენრის ტუები ანუ ჰენრისილგანია.

ჰენრი ღირსეული კაცი იყო. მას დიდის პატივით
იხსენიებდენ არა შარტო გადმოსახლებულნი, არა-
მედ მეზობელნი — ინდოელებიც. ჰენრისილგანიაში უშ-
თავრესა ქალაქი შეიქნა „ფილადელფია“ ანუ
ქართულად — „ქალაქი მმობია“.

ატლანტიკის ნაპირი ამერიკაში გახდა თავშესაფარი
არა მარტო სარწმუნოების გამო დევნულთაოვის,
არამედ სხვა და სხვა ქვეყნის ტანჯულ დასჯილთა-
თვისაც, რომელთაც არ სურდათ გაწვალებული
ცხოვრება განეგრძოთ თავიანთ სამშობლოში და
იმედობდნენ შრომითა და მეცადინობით მოეპოვებ-
იათ უმჯობესო ცხოვრება ახალ მხარეში.

ცრანკლინის დროს ინგლისელთა ახალ-შენი
(поселение) იყო ცამეტი. ეხლა მოკლედ განვმა-
რტოთ, თუ რა დამოკიდებულობა აქვს საზოგა-
დოთ ახალ შენებს თავისს სამშობლო მხარესთან. იმგვარ გადასახლებულთ, როგორიც იყვნენ ინგლ-
ისელნი ამერიკაში ეწოდება „კოლონისტები“, მათ

შიერ დასახლებულ ადგილებს კოლონიები⁴, რო-
დესაც კოლონისტები სხვისს სახელშრიფთაში ეს-
ახლებიან იმავე სახელმწიფოს უერთდებიან და მისს
მფარველობისა და მორჩილების ქვეშ იმყოფებიან.
მაგალითად, ეხლა რუსეთში ბლომად ესახლებიან
გერმანელები. ესენი რუსეთის ქვეშვრდომნი შუგ-
ქმნენ და ეკუთვნიან რუსეთის მმართველობას.

როდესაც კოლონისტები თავისუფალ (დაუპატრო-
ნებელ) მიწებზედ ესახლებიან ისინი არ სწყვეტენ
კავშირს სამშობლო მხარესთან. ჩვეულებრივ მრავ-
ლდებიან მისს მფარველობის ქვეშ, ემორჩილებიან
მას, თავისს თავს სთვლიან შვილებად, სჭმუბლოს დე-
დათ — „დედო მხარეთ“ ანუ — უცხო ენით — მეტროპო-
ლიაო. ამგვარად ატლანტიკის ნაპირებზედ გაშენებულ
ინგლისელთა ცამეტი კოლონიის „დედო მხარე“ —
მეტროპოლია იყო ინგლისი.

ზაგრამ მეტროპელიები შორეულს ახალშენებს
უოველთვის ეგრე არ ეპურობიან, როგორც შეჰვე-
რის შვილების მოყვარულ დედას მათი მფარველობა.

ინგლისიც თვისი კოლონიებისათვის პოროტი
დედინაცვალი უფრო იყო მინამ ნამდვილი დედა.

ცრანკლინს ცოტა არ უშრომია იმათ გამოხსნი-
სათვის ინგლისის ხელოდგან.

დავუბრუნდეთ ასევ მას (ფრანკლინს). (ii)

VII

ფრანკლინი საზოგადო სამსახურში.

3 რანკლინს შეუსრულდა 42 წელიწადი. პატიო

სანი შრომით იმან იშლენი ქონება შეიძინა, რომ
შეეძლო რიგიანათ ეცხოვრა თავის ოჯახითურთ და
სიმღიდრეს კი არ მისდევდა. ამის გამო მან თავისი
საბეჭდავი (სტამბა) სხვას გადასცა. მუდმივი შრომით
ფრანკლინმა აღზარდა თავისი. ჰუუა-გონება, შეიმუ-
შავა მტკიცე ხასიათი და კეთილი მიმართულება:
დაიმსახურა საზოგადო სიყვარული და პატივწე
ცემა. თავისი თავიც და მეგობრებიც შეაჩვია — ჩავ-
კვირებოდენ სამშობლო ქვეყნის საქმეებს. ეხლა მან
გადასწყვიტა დანარჩენი დღენი სიცოცხლისა მთლად
სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაედო.

* *

ინგლისელების თვითონეულს კოლონიას შეთვა-
ლყურობდა 1 გუბერნატორი რამდენიმე „ჩინოვ-
ნიკებითურთ,“ რომელთა დანიშვნა ინგლისის მთავ-
რობის საქმე იყო. ყოველი ახალი დადგენილობა და
უმთავრესი საქმე კი გაირჩევოდა და გადაშეცდებოდა
„კოდონიურ კრებაზე“ — ე. ი. კოლონიის წარმომა-
დგენელთა კრებაზე.

„პენსილვანიის კრებაში“ ფრანკლინმა მიიღო
იავისს თავზე მდივნის თანამდებობა (მაუნ, როცა
ის მხოლოდ 29 წლის იყო) და კარგადაც მიჰყავდა
საზოგადო საქმე. კრების წევრნი დიდის ყურადღე-
ებით მოისმენდენ, რასაც ახალგაზრდა მდივანი წა-
რუდგენდა მათ. ბოლოს თვითონ ფრანკლინიც
ამოირჩიეს კრების წევრად.

გარდა ამისა მან (ამავე დროს) თავს იდვა პენსი
ლვანიის ფოსტის მართვა-გამგეობა და ისე ლამაზად

ლა იაფად მოაწყო პანსილვანიის საფოსტო საქმე, რომ ინგლისის მთავრობამ მთელი ამერიკის კოლონიებში საფოსტო საქმის წარმოება შას მიანდო.

ფრანკლინს სამხედრო საქმეშიაც შეხვდა მონაწილეობის შილება.

ინგლისელების ახალშენებთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკაში ისპანელებისა და ფრანგების ახალშენებიც იყვნენ. ამის გამო ისპანელთა და ინგლისელთა შორის გამართული იყო მუდმივი ომი. ომი გათავდა შით, რომ ინგლისელებმა სრულიად განაძევეს ჩრდილოეთ ამერიკიდგან ისპანიელებიც და ფრანგებიც. რასაკვირველია, ეს ასე ერთხაშათ არ მომხდარა. ისპანელები, განსაკუთრებით კი ფრანგები დადს ხანს ომობდნ. ამ დროს ინდოელები „დამჭურარ ბზასავით ირხევოლენ“ - ხან ინგლისელების შხარეს იჭრდენ, ხან მათი მტრებისას.

ამასთან ინგლისელი ახალშენები იძულებულნი იყვენ, უმეტეს ნაწილად, საკუთარის საშვალებით დაეცვათ თავი, როგორც ისპანიელებისაგან, ისე ფრანგებისა და ინდოელებისაგანაც: ინგლისიდგან რო ჯარები იგზავნებოდა საკმაო სურსათით არ იყო გამოსტუმრებული; მათი ბარგის გადატან-გადმოტანაც არა ნაკლებად აჭირებდა საქმეს.

ფრანკლინმა ამ დროს დიდი შემწეობა იღმოუჩინა იმათ. ნახევარი მისი ქონებისა მისცა ჯარის უფროსეს, სკენებისა ურმებისა და სურსათის სასყიდლათ; ეხმარებოდა იმათ აგრეთვე ყოველგვარ გა-

ჭირების დროს... ინგლისის მთავრობამ ბოლოს ეს
დანახარჯი არც კი გადაუხადა მას.

ამას გარდა ინგლისელი ჯარი ცოტა იყო. ფრანგულინმა დააჯერა ახალშენები, რომ ახალი,
საკუთარი ჭარი შეედგინათ, რომლის მოწყობის საქმე
თვითონ რდვა თავისს თავზედ: განკარგულებას შვე-
ბლდა ნუ ჭარის სურსათით დაკმაყოფილებაზედ,
იმათ შეიარაღებაზედ, აშენებდა სიმაგრეებსა, მაგრამ
მთავარ-სარდლობას კი დიდის სიამოვნებით უთმო-
ბდა იმ პირებს, რომელთაც სამხედრო საქმე უფრო
გაეგებოდათ.

მიმღებად მიტოვოს * * *

მრთხელ ცამეტივე კოლონის წარმომადგენელია
სრული კრება შესდგა იმ აზრის გამოსარკვევად, თუ
როგორ დაეცვათ თავი მტრებისაგან? ამ კრებაზედ
ფრანგულინმა წარმოსოდეს აზრი, რომ მიუკილებელი
საჭიროა „მუდმივი კავშირი“ დავაფუძნოთ ყველა
(ცამეტივე) კოლონიებმა ურთიერთ შორისო. სხვათა
შორის მან ურჩია თვითოვეულს კოლონიას ორ-ორი
კაცი გამოეგზავნა თავიანთი წარმომადგენელნი სამ-სამი
წლის ვადით ყველა კოლონიების საზოგადო კრე-
ბაში, რათა იმ კრებას ყველა მტრების ინაალმდევ
შეძლებოდა ზომების მიღება, სიმაგრეების აგება,
ჯარის შეკრება და სამხედრო გემების მოწყობა
ზღვაზედ სავაჭრო ხომალდების დასაცველად.

ახალშენებმა მალე შეიგნო ამგვარი შეერთების
მნიშვნელობა მათგან კეთილდღეობისათვის, მაგრამ

ენგლისის მთავრობას მათი ერთობა არ უნდოდა. ინგლისის ეშინოდა — თუ ახალშენები ერთად შესისხლ-ხორცდება, იშეიძლება, როცე მოგმაგრონ წელი, რომ ინგლისის დაუხმარებლადაც შეიძლონ თავფანთ დავის დაცვა ყოველ გაჭირების დასახურ.

ინგლისის მთავრობა შიშობლა — ფართუ ამ შეერთების შემდეგ ახალ-შენებმა იფხექროს, რომ მაღალ შესდევთ და ინგლისისთან დამოუკიდებელი ცალკე სახელმწიფო ფო. შეადგინონ ი.

არც უსაფუძვლო იყო ამგვარი შიში.

როგორც შვილები რჩებიან მშობლების გავლენის ქვეშე სანამ ისინი სრულწლოვანი გახდებიან, ისე ახალშენებიც, შორს თავისუფალ მიწებზედ დასახლებულნი, სამოვნებით ეძროჩილებთან მეტროპოლის, ვიდრე იმათი მფარველობით ქსაჭიროებათ, სანამ არ გააუძჯობესებენ თავისთ ცხოვრებას, მინამ შტკიცედ არ მოიმაგრებენ ფეხს — ფეხს არ გადღვამენ.

ნოლო, როცა დაშორებული კოლონიები მოშავ გრდებიან, მეჯობრულად მხოლოდ მსშინ უცქერ ენ თავისს მეტროპოლის, თუ ეს უკანასკნელი იმათ საქმეში არ ეჩრება — თუ შეგნებული აქვთ, რომ შორიდგან მეტროპოლის ისე კარგაზ ვერ მოაწყობს კოლონიების საქმეს, როგორც თვითონ კოლონის-ტები.

მშობლები თუ ყოველთვის გონივრულად ექცე-

ვიან თავიანთ შვილებს და მათზე უაზროვ თვითნებას არ იჩენენ, იმ შემთხვევაში იმის შიში არ უნდა ჰქონდესთ, რომ შვილები უზნეო ყოველაქვე არ მოუსვენებენ მათ: შვილები მათთან ერთს სახლში იცხოვონ, თუ თავისს საკუთარ ოჯახობას გამართავენ – ეგ სულ დროია, მშობლები მათვის მაინც ძვირფასნი და საყვარელნი იქნებიან. მაკრამ თვითნება და შერეკილი მშობლებისგან, როგორც კი ფეხს მოიდგამენ, კეთილი შვილებიც კი გარბიან ხოლმე: ამ გვარ შემთხვევაში ეგრე სჭირს შორეულს ახლ შენებსაც – შორეულს კოტონიებსაც.

* * *

როგორც უკვე ნათქვამია ინგლისი ამერიკელ ახლშენებს დედობას კი არ უწევდა არამედ ბოროტ დედინაცვლობას.

ინგლისის მართებლობა არა სწუხლა იმაზე, – რა როგორ ცხოვრებდენ ოკეანეს იქით გადასახლებულნი. ის მხოლოდ იმას ფიქრობდა, რა სარკებლობა გამოეტანა ინგლისშივე მცხოვრებ ინგლისელთას ვის; გადასახლებულნი ინგლისელებს საწველ ფურათ მიაჩნდათ და არა მკვიდრ ძმებათ: –

ინგლისის მთავრობა კერძო პირებსა და შოვაჭრე კომპანიებს მიაჩუქებდა ხოლმე ვებეროელა ნაჭერ მიწას და ესენი კი, თავისს მსრივ, სხვა გადმოხვეწილებს აძლევდენ იჯარით და აკიწროულენ მათ.

კარეჭუფრო შეტა შევიწროებას იომენდენ გა

დმოსახლებულნი ინგლისელ ვაჭრებთა სასარგებლოდ. თუ არა ინგლისელი ვაჭრების ხომალდით ასე ამერიკელები ვერაფერს შემოიტანდენ კოლონიებში და ვერც კოლოხიის ნაწარმოებს გაიტანდენ საზღვარ გარეთ. ამასთანავე ახალშენები იძულებულნი იყვნენ თავიანთი საქონელი. ნახევარ ფასად და თმოთ ინგლისელებისათვის, ხოლო ინგლისელებისაგან შემოტანილი კი — სამწილ ფასად ეყიდათ. ამავე საქონელს ფრანგები და გოლიანდიელები ორწილ მეტ ფასში მიიღებდენ, აგრეთვე იმ საქონელს, რაც ინგლისელებს შემოჰქონდათ, ფრანგები და გოლანდიელები ნახევარ ფასათ მოიტანდენ, მაგრამ ამის ნებას მათ არავინ აძლევდა.. —

ამასთანავე აღკრძალული აყო ზოგიერთი საქონლის ყიდვა-გაყიდვა თვით კოლონიებში ურთიერთ შორის. — უექლი, მაგალითად, კოლონისტს პური, თამბაქო მეზობლურათ გაეყიდა და რიგიანი ფასი აეღო... მაგრამ არა!.. გინდა თუ არა, შენ მიჰყიდე საქონელი ინგლისელს, ინგლისელი მიუტანს შენს მეზობელს; შენგან ის ჩალის ფასათ აიღებს, და შენს მეზობელს კი როგორც უნდა ისე მიჰყიდის. —

ინგლისელნი მეფაბრიკენიც ახალშენების ხარჯით მდიდრდებოდენ. ინგლისში დიდი ხნიდგან ამზადებდენ ბევრს რკინეულობას და შალეულობას. როგორ ან სად უნდა გაესაღებიათ?... ნამეტურ ის რაც ნაკლები ღირსების იყოდა ისიც, რაც შეიძლება, დიდს

ფასში. ამისთვის შორს არ წასულან: ისევ ახალშე-
ნებს აღუკრძალეს ფოლადეულობა და შალეულობა.
შამოეტანათ თუნდ ინგლისის ხომიალდებითაც, სხვა
რომელიმე სახელმწიფოდგან გარდა ინგლისისა.
თვით კოლონიებშიაც აღუკრძალეს ამგვარი ნივთე-
ბის დამზადება. არც მაკრატლისა, არც ცულისა და
არც ნამგლის გაკეთება არც ერთმა ახალშენმა არ
გაბედოს.. არც მოქსოვო, არც მოთელო, თუნდ
ერთი არშინი მაუდიც იყოს! .. ყველაფერი ინგლი-
სელი მეფაბრიკეებისგან იყრდე!

ახალშენები ძოიერ უკმაყოფალონი იყვენ, მა-
გრამ ითხენდენ. შრომის მოყვარაობისა და ზომიე-
რების მეოხებით, ისინი მაინც კარგათ ცხოვრებ-
დენ. მაგრამ ინგლისმა თავისის გაუმაძღარის სიხარბი-
თა და ძალდატანებით შათ მოთმინებას ბოლო მოუღო.

გარდა ამისა პენსილვანიის ახალშენებს, სხვა
მიზეზებიც აიძულებდა საჩივლელ დ. „პენსილვანია“
როგორც ნათქვამია, პენნის შიერ გაშენებულ კო-
ლონიას ეწოდება. *)

პენნი კეთილი კაცი იყო, ის ახალშენებს სრუ-
ლებით არ ავიწროვებდა, მაგრამ პენნი გარდაიცვალა
მისი მემკვიდრეები კეთილს მამას ვერაფრად ჩამო-
გავდენ. პენსილვანიის მესაკუთრეებათ ისინი ითვ-
ლებოდენ. თუმცა თვითონ ისინი არავითარ მიწის
ბეგარას არ იხდიდენ, მაგრამ ახალშენებისაგან კი
მთელი პენსილვანიის ხარჯებს დასაფარავ ფულებს

*) იხილე გვერდი 63

ბოჭავდენ. პენსილვანიის ხარჯების დასაფარავ ფულუბით პენნები თავიანთ კერძო საქმეებს იკეთებდენ და კანონის იმ მუხლებს, რომლებიც რამოდენიმედ ახალშენების ინტერესებს იცავდა, არავითარს ყურადღებას არ აქცევდენ.

გუბერნატორებიც პენნების დამხმარე იყვნენ.. ხოლო ახალშენების წარმომადგენელთა კრება, ეს ვი არაა, ახალშენებს ეხმარებოდა და თავისს დახმარებას კიდევ ასაბუთოდა კანონის ძალით. მკვიდროთ თან და თან ემატებოდათ ბრაზი გუბერნატორისა და პენნების წინააღმდეგ. გუბერნატორი ხედავდა რომ კრებას ფრანკლინი უძლვებოდა. თავისი მეგობრებით და ჩამოაგდო მასთან მოლაპარაკება,

— „ მეგვარიგე ჩვენ მცხოვრებლებთან და სამავიჯროდ პენნები შენ უხვად დაგასაჩუქრებენ“ — უთხრა მან ფრანკლინს.

— „ მე უძრალო ცხოვრებას დაჩვეული ვარ და პენნებისაგან არა მინდა რა — “ უპასუხა ფრანკლინმა

ახალშენებმა გადასწყვიტეს გაეგზავნათ ფრანკლინი ინგლისში საჩივრებით პენნებისა და გუბერნატორის წინააღმდეგ ამსაქმის გამო მან ინგლისში ორჯერ იმგზავრა და კიდევ გაიკვანა თავისი — რაც ახალშენებს სურ და პენნების უსამართლო ქცევა რაშოდენიმედ შეამცირეს.

* * *

ფრანკლინს პენსილვანიის საქმეებზე ისე ჭკვიანად და მშვიდობიანად მიჰყავდა, რომ მას, გარდა პენსილვანიის დაცვისა პენნების უსამართლო ქცევისაგან, მალე მიანდვეს ამერიკის ყველა კოლონიები

დაქცვა კანონის წინაშე ინგლისელთა ძალზარანჟ-ბისადან.

ფრანკლინმა საჭიროდ დაინახა აქტები ინგლისე-ლებისათვის, რომ ახალ-შენებმა წელი მოიმაგრეს, ასე რომ შეუძლიანთ თავისთვის დამოუკიდებლად იცხოვრონ, ინგლისის მფარველობაში აღარ საჭი-როებენ და ამიერიდგან მათგან შევიწროებასაც აღარ მოითმენენ; ადვილად შეიძლება ახალ შენებმა სამუდამოდ შესწყვიტონ კავშირი ინგლისელებთან, თუ უკანასკნელნი ძმებათ არ იცნობენ ახალ შენებს.

ბონიერს ინგლისელებს ეს კარგად ესმოდათ, მა- გრამ ამისთანა გონიერი კაცები ცოტა იყო მაშინ ინგლისში. ინგლისი ეხლაც პატრიონობს რამდენიმე კოლონიებს, რომელთაც თავისს მეტროპოლიასთან დამოუკიდებლად შეუძლია იცხოვროს, მაგრამ ურ სცილდებიან მას, იმიტომ რომ ინგლისელები ადრი-ნდულა არ ავიწროვებენ მათ. პირიქით ძვირად აფა- სებენ მათ... ამ გვარი გამოცდილება ინგლისში მხო- ლოდ მაშინ შეიძინა, როცა სიხარბისა, თვითნებო- ბისა და ჯიუტობის გამო დაჰკარგა ამერიკის ცამეტი ახალ შენი (კოლონია).

— „ზიყურებ მე თქვენ — ამერიკელებს და ვხედავ: რამდენც უნდა რლაპარაკოთ თქვენს კავშირზედ ინგლისთან, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ კავ- შირს მალე შესწყვეტ და თავისთავს დამოუკიდებელ სახელმწიფო გამოაცხადებთ“ — უთერა ერთხელ ფრანკლინს ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა.

— „ჯერ-ჯერობით ამას არავინ ფიქრობს, მაგრამ თუ თქვენ — ინგლისელები უფრო რიგიანად არ მოგვექცევით — შეიძლება ახალ-შენებს ეს აზრი მოუვიდესთ“ — უპასუხა ფრანკლინმა.

ფრანკლინი გულწრფელად ლაპარაკობდა. ის დაჯერებული იყო, რომ თუ ინგლისელები დრო ზედ გონს მოვიდოდენ, კოლონიებიც არ ჩამოეცლებოდა ინგლისს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კავშირის დაცვა შეუძლებელი იყო.

ფრანკლინის მოსაუბრებ გადააჭნ-გადმოაჭნია თავი და შენიშნა: „უბედურება აუცილებელია. აქ კიდევ არ აქვსთ შეგნებული, რომ საჭიროა შეიცვალოს ჩვენი უსამართლო ქცევა ამერიკის ახალ-შენებთან“.

ინგლისელების უგუნურებას კიდევ უფრო აძლიერებდენ მათივე დანიშნული სამსახურის კაცები, რომლებიც თავის სამსახურს მთავრობის წინაშე მარტო ამერიკელების დაბეჭდებით ასრულებდენ.

ფრანკლინი სწერდა: „ინგლისი აგზავნის ჩვენს კოლონიებში უვარების კაცებს, რომელთაც ცრუცნობის ჩვენებით მართებლობა, სამსახურის გაწევის მაგიერ ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, ისინი წარადგენენ ვითომ ახალ-შენებს სუსტნი, მოუსვენარნი და საზოგადოთ ურთიერთ შორის უთანხმონი იყვნენ. საუბედუროდ ეს სრულიად სიმართლეს მოკლებული ცნობები მართებლობას სჯერა და ფიქრობს: რაც უნდა შვიდლე დავაყენო ამერიკელებს, ისინი თავისს დღეში ვერ-შეერთდებიან იმდენად, რომ ჩვენ შეტოვნობა, გაგვი-

წიონ და თავისუფლება მოიპოვონ. ამიტომ, ვითომ
ჩვენდა დასაწყინარებლად, სულ ახალსა და ახალს სი-
სასტიკეს იგონებს. მაგრამ ინგლისელთა სიმკაცრესთან
ერთად მკვიდრთა ბრაზიც იზრდება, მათ წინააღმდეგ.
მართებლობა, მე ვიცი, დაბოლოს უკიდურესის — უკა-
ნონო ზომებს მიმართავს... ჩვენი ახალშენები ამას
ვერ მოითმენენ და საქმე ომამდე შიაღწევს, რომე-
ლიც ან ამერიკელებს ინგლისის მონებად გახდის,
ან კოლონიები ჩამოეცლებ ინგალისს და ცალკე
სახელმწიფო შეიქნება. უკანასკნელი შედეგი უფრო
დასაჯერია, იმიტომ რომ ამერიკის ძალა და დიდება
არათუ დღითი დღე არამედ საათობით იზრდება.”

* * *

ამ პატიოსანი კაცების სიტყვები მართლაც
ასრულდა: უთანხმოებამ ინგლისსა და ახალ-შენთა
შორის გაცხარებული ომი გამოიწვია.

ამ ამ ღმის მიზანიც:

ინგლისის მართებლობას ფული დასჭირდა. ამი-
სათვის მან გადასწყვიტა საღერბო გადასახადი შემოე-
ლო ამერიკის კოლონიებში, ე. ი. მოითხოვა, რომ
კოლონიებში ყოველ გვარი თხოვნა, — ქალალდი
(დოკუმენტი) ნაყიდობისა, გირავნობისა და სესხისა
უსათუოდ ღერბიან ქალალდებზედ დაწერათ და
ამ ქალალდებისაგან შემოსული ფული ინგლისის ხა-
ზინაში შეეტანათ. ამ გვარმა აშკარა უსამართლობამ
ააჯანყა კოლონისტები. რომ სთქვას კაცმა, ამ შემ-

თხვევაშიც არ გახდებოდენ წინააღმდეგნი დახმარებოდენ ინგლისს. ისინი ყოველთვის ეხმარებოდენ მათ შეძლებისადაგვარად: არც ფული, არც სისხლი მათთვის არ ენან ებოდათ; ძალა უნებურად ითმენდენ ყოველ-გვარ გაჭირებას ინგლისელ ვაჭრებთა და მე-ფაბრიკეთაგან; გაპყავდათ თავისი ჯარის კაცები, აძლევდენ ფულებს ისპანიელებთან და ფრანგებთან საომრად, მაგრამ, უნდა ვსოდეთ, რომ ახალ-შენები ყოველთვის აძლევდენ მათ (ინგლისელებს) მხოლოდ იმ შემწეობას, რასაც ამორჩეულნი პირნი დაადგენდენ აღგილობრივ — „კოლონიურ კრებაზე“. საქმე იმაშია რომ ახალ-შენები კოლონიურს კრებას ენდობოდა, რადგან იგი მათი წარმომადგენელთაგან შესდგებოდა. კრება კარგად ცუნაბდა მათ საქმეებს და კიდეც მოვალე იყო ჰასუხი ეგო მკვიდრთა წინაშე...

„მხლა მოსულან ცხრა მთას იჭიდამ ვილაც — ბატონები და მათდა დაუკითხავად გადასახადი დაუდვიათ“!

„საძაგელი ამბავია! თუ ინგლისის მართებლობას ნება მიეცა ჩვინი დაპატრონებისა, ისინი სიცოცხლეს გაგვიმწარებენ! თუ იმათ გადასახადების შეწერა დაგვიწყეს ჩვენ „კოლონიურ კრებათა“ ნება დაურთველად, შენი მტერია ჩვენ დაგვემართება; მათი ძმების მიზიერ ინგლისელების მონები შევიქნებით“ — ამბობდენ ახალ-შენები.

„მს აზრი რომ ინგლისელებს გავაყვანიოთ, არას

გზით არ შეიძლება. საქმე იმაში კი არაა — საღერბო
გადასახადებით რამდენიმე გროვით მეტის ანუ ნაკ-
ლების გადახდა შევვხდება, არამედ სამწუხაროისაა,
რომ აქ ჩვენ უფლებებს ვკარგავთ... აქ საგულისხმოა
ძალდატანება და მამაპაპეული უფლებების დარღვევა

პოლონისტებმა ინგლისიდგან გამოგზავნილი ლე-
რბის ქალალდები მიღების თანავე დასწვეს. ვისაც
ნაკისრი ჰქონდა გაყიდვა, მათ უარი განაცხადების
გაყიდვაზე... გარდა ამისა ახალშენებმა გადასწყვიტეს
შეეწყვიტათ ინგლისთან ყოველ გვარი მიშოსვდა. ძვირ
ფასი ნივთები, რაიცა მხოლოდ ფუფუნებისათვის იყო
საჭირო, გადასწყვიტეს არ ეყიდათ, უსაჭიროესი ნივ-
თები კი თვითონვე დაემზადებიათ, უუმდიდრესს ოჯახე-
ბშიაც კი ტანისამოსათ შინ დამზადებულ „მატერი-
ას“ ატარებდენ, ოლონდ კი ინგლისელებისაგან არა-
ფერი ეყიდათ. კაი ზორბა ლუკა დაეკარგათ, თქვე-
ნმა მხებ, ინგლისელ მეუკრიყებსა და ვაჭრებსა !!

* * *

პეტალგონიერნი ინგლისელნი უჩევდენ მართ-
ბლობას უარეყოთ უსამართლოდ შემოღებული
გადასახად ებრა.

მთავრობამაც გადასწყვიტა საქმე ხელმეორედ
გაერჩია. ამ მოლაპარაკებაზედ ფრანკლინიც და-
სწრეს.

მან გონივრულად აუხსნა მათ, თუ რამდენს ითმე-
ნდენ ახალშენები აქამომდე; დაანახა — თუ როგორი
ძლიერი და მდიდარი შეიქნა ამერიკის ახალშენები...

აშკარად დაუმტკიცა აგრეთვე, რომ გადასახადები უკანონოდ შემოლებულია...

— „ჩვენ გავგზავნით ჯარებს და ძალით მივაღები-ნებთ კოლონიებს საღერბო ბეგარას!“ — მკვახედ შე-ნიშნა ვიღაც თავხედმა ინგლისელმა. ამაზედ ფრა-ნკლინმა დარბაისლად უპასუხა: — „ჯარი ამერიკაში სხვას რას ნახავს, თუ არა მშვიდობიან სოფლელებს? ვერე რას გააკეთებს ის იქ! ჯარი ვითომ ძალად მიაღებიებს ღერბის ქალალზებს? არა მგონი, პირიჭით, ამ გზითშეიძლება ჯარმა მშვიდობიანი სოფლელები ააღელვოს და შეიარაღებამდის მიიყვანოს.“

რამდენიმე დღის შემდეგ საღერბო ბეგარა მო-სპობილ იქმნა, მაგრამ ამასთანავე ინგლისის მთავ-რობა საჭიროდ რაცხდა შეენიშნა, რომ კანონების დადგენა კოლონიებისთვის და შათ ვაკრობაზე შემოსატან-გასატანი ბეგარის დადება მაინც მას ეკუთვნის. —

ამ გვარი დათმობა ნამდვილ დათმობათ არ ჩა-თვალეს; ისინი უფრო და უფრო ღელვდებოდენ...

— „ინგლისის მთავრობას განგებ არ სურს შეი-გნოს, რომ აქ საქმე „უფლების დარღვევაშია“ და არა გროშებში“ — შენიშნა ფრანკლინმა.

სმგვარის დაურიდებელის და სამართლია ნისგამო-ლაპარაკებისაოვის, ინგლისის მართებლობამ ჩამო ართვა მას კოლონიებში საფოსტო საქმეების მართვა-გამგეობა — მიუხედავად იმისა, რომ ფრანკლინი ამ თანამდებობას მშვენივრად ასრულებდა... იმავე დროს

მართებლობა ცდილობდა მოესყიდა იგი: ამ თავი-
დამვე დაპირიდა უხვად გასწორებოდა მას იმ დახმა-
რებისათვის, რომელიც ფრანგებთან მან იმის დროს
აღმოუჩინა ინგლისის მხედრობას... და სხვა...

მაგრამ ფრანკლინი არ შეუშინდა ჩმათ რისხვას,
არც მათი საჩუქრებით მოსტყუვდა და საქმე ჩვეუ-
ლებრივის მხნეობით განაგრძო. — ის ჯურ კიდევ იმე-
დობდა გონზე მოეყვანა ინგლისელები, ამისთვის
ურჩევდა მათ კოლონისტები ძმებად. ეცნათ და
განხეთქილება მოესპოთ; მაგრამ იმაუე დროს ახალ
შენებს წერილებით შეაგონებდა, რომ არას გზით
არ დამორჩილებოდენ ინგლისელთა დაუინებულ თვით-
ნებობას.

ფრანკლინი ცდილობდა თვით ინგლისის მკვიდრთა
შორის აღეძრა თანაგრძნობა ახალ შენებისადმი, ამი-
ტომ ყოველ გვარ დავას პარლამენტონ მდაბიო —
ყველასათვის გასაგები ენით განმარტებდა.

ამ აზრის განსახორციელებლად მან, სხვათი შო-
რის, შემდეგს საშვალებასაც მიმართა. გამოსცა რა
მდენიმე წიგნაკი. ერთს მათგან ში მოგვითხრობდა:
ვითომც პრუსიის მეფეს ინგლისელთათვის „კანონე-
ბის“ დადგენა მოეწადინებიოს, აღეკრძალოს კიდეც
მათთვის თავიანთი ფაბრიკების გახსნა (ინგლისში),
ფოლადეულობის და შალეულობის დამზადება და
აგრეთვე ყოველგვარი საქონლის შეტან-გამოტანა
ინგლისში პრუსიელი ვაჭრების გარეშე... ე. ი.
ფრანკლინი შეაგონებდა ინგლისელებს, ახალ შენ თ

მდგომარეობაში თავისთავი წარმოედგინათ და შეეგნოთ, თუ რამდენს შევიწროებას ითმენდენ ახალშენები ინგლისელებისაგან. მეორე წიგნაკში ფრანკლინი განმარტავდა, — „თუ როგორ შეიძლება დიდის სახელმწიფოის დაპატარავება.” —

„სახელმწიფო — მრავალის კოლონიებით ძლიერი და ჯრა თავის თავად — ემსგავსება ხაჭაპურს, რომელიც კიდევებიდვან უფრო აღვილად ტყდება. *) ამ გვარმა სახელმწიფომ ეცადოს და ჩააგონოს კოლონიებს, რომ უკანასკნელნი მეტროპოლიასთან ერთს სხეულს არ შეადგენ ენ; შეავიწროოს და გაანადგუროს იგი, როგორც რომელიმე მტრის ქვეყანა. შემდეგ ამისა კოლონიები მოიკრებენ თუ არა რამდენიმედ ლონება, მაშინვე ალიჭურვებიან მათ შემავიწროებელთა წინააღმდეგ და ერთი მეორეზე ჩამოეცლებიან თავისს მეტროპოლიას...“

ამ გვარად დიდი და ლონიერი სახელმწიფო შეიქმნება პატარა და სუსტი!

ფრანკლინის წიგნაკებში ყველა ესენი ძლიერ ნათლად იყო გამოხატული, ინგლისის საუკეოესო კაცებს კარგად ესმოდათ თუ რა საშიში საქმე წამოიწყო მთავრობამ.

*) სწორედ ამ გვარი სახელმწიფოა ინგლისი. თვითონ ინგლისი მხალეოდ ორი კუნძულისაგან შესდგება, მაგრამ მდადარი და ურცხვი მისი კოლონიება, შოთანტილი მთელი დედამიწის ზურგზედ; ამ კოლონიების შემწეობით იგი ინახავს ვერცხლელა იულოტს, გამართული აქცე დიდი გაფრთხა. მისი სიმძილეის საიუბგელი კოლონიებია. —

მართებლობა თავისას მაინც არ იშლიდა. მართლია, საღერბო ბეგარა მოსპო, მაგრამ ამერიკაში ჩაის შემოტანას მაშინვე ზაურ დაადვა. ეს ბეგარა ძრიელ მცირე იყო და მართებლობას ეგონა — ამერიკელები გროშისთვის დავას არ ასტეხნო, მაგრამ ამერიკელებს კარგად ესმოდათ, რომ მათთვის სამძიმო „უფლების დაკარგვა“ იყო და არა გროშის გადახდა”.

ჩაის შემოტანაზედ დადებული ბეგარა ამერიკელებმა ჩაის უსმელობით გადაიხადეს: ერთს მშვენიერს დღეს მათ გადასწყვიტეს ხელი აეტოთ ჩაის ხმარებაზე. ინგლისელი ვაჭრების საწყობებში მრავალი ჩაით სავსე ცალები ეყარა, მაგრამ არავინ არ ყიდულობდა, ერთხელ ჩაით დატვირთულდ ხომალდები მოადგა ამერიკის ნავთ-სადგურებს, მაგრამ კოლონისტებმა შიგნით არ შემოუშვეს ისინი. ზოგიერთმა ვაჭრებმა სცადეს ბოსტონში გადმოელოთ ჩაით სავსე ცალები ინგლისელი სალდაფების მფარველობის ქვეშე, მაგრამ ამაռდ. ბოსტონლებმა ცალები ერთიანად ზღვაში გადაუყარეს. ფრანკლინის აზრი გამართლდა (იხილე გვ. 75), ამ ძალატანებამ მცხოვრებლებისაგან გამოიწვია კადნიერება. ინგლისის მთავრობამ სამაგიეროდ ახალი მკაცრი ზომები მოიგონა: გააუქმა ბოსტონის ნავთ-სადგური, აღუკრძალა მათ ყოველ გვარი ვაჭრობა, დაკეტა კოლონიური კრება მასსაჩუზეტში, დააპატიმრა, მრავალი ამერიკელი, როგორც მოთავენი არეულობისა და გასასაშართლებლად ინგლისში დაიბარა, რადგან

რადგან დარწმუნებული იყო რომ ამერიკის ნაფიცნი მოსამართლენი იმათ გაამართლებდენ. ეს განკარგულებაც მათი უძველესი უფლების დარღვევა იყო: დღემდის ახალშენებს თავიანთ სამსჯავროში ასამართლებდენ. გარდა ამისა, ინგლისელებმა იწყეს ჯარის შეკრება ამერიკაში გასაგზავნად, ეგონათ უსამართლობას ძალით გავიყვანთო.



ფრანკლინი დარწმუნდა, რომ საქმე მშვიდობიანად არ გათავდებოდა, ამიტომ ურჩია ამერიკელებს მოეხდინათ ცამეტივე კოლონიების შიერ ამორჩეულ პირთაგან შემდგარი კრება, რათა გამოერკვიათ საქმის მდგომარეობა, ნათლად გამოეხატათ თავიანთ მოთხოვნილებანი და შემდეგ გადაეწყვიტათ — თუ როგორ დაეცვათ თავისთავი.

1774 წელს ფილადელფიაში შესდგა კრება (კონგრესი). აქ შეიკრიბენ ამერიკის საუკეთესო წარმომადგენელნი. მათ შეადგინეს „ამერიკის ერის უფლებათა აღწერა“ და ფრანკლინს გაუგზავნეს ინგლისში ინგლისის მთავრობის გადასაცემად. —



მს „უფლებათა აღწერა“ შედგენილი იყო რაც შეიძლებოდა დიდის მოფიქრებით, მოსაზრებით და აუჩქარებლად, ამიტომ მან ინგლისის გონიერ კაცებზედ ლრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ დროს ინგლისში სკოლებდა შესანიშნავი

კაცი ლორდი ჩატტამი *). ის დიდს მონაწილეობას ღებულობდა საქმეებში (წინედ მინისტრადაც იყო).

მან დიდის დაკვირვებით წაიკითხა „უფლებათა აღწერა“ და დარწმუნდა, რომ ამერიკელთა თხოვნა ჭიუაში მოსავალია, მიიწვია ფრანკლინი და დიდ ხანს ესაუბრა...

ნათესაობრივი გრძნობა კოლონიებში ინგლისელებისადმი ჯერ კიდევ არ გამქრალა სრულიად. თუ რომ ინგლისი დაუჩქარებს ახალშენებისათვის ევროპიელ ინგლისელთა თანასწორი უფლებანი აღადგინოს, იმ შემთხვევაში მორიგება კიდევ შესაძლებელია. — მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამერიკელნი არავითარი წვრილმანი რამეების დათმობით არ დაკმაყოფილდებიან. ისინი იმდენად თავის დღეში არ დაიმცირებენ თავს, რომ ინგლისის მონები შეიქმნენ — გამოესაუბრა ფრანკლინი ლორდ ჩატტამს.

ამერიკის საქმეების გარჩევას ლორდი ჩატტამიც დაესწრო. მან დიდხანს ილაპარაკა ინგლისელებისა და ამერიკელების ერთმანეთთან მორიგების შესახებ; ეცადა გონს მოეყვანა მართებლობა, რათა გამოეხმო ამერიკიდგან ჯარები; თვითონ ამერიკელები ეცნათ მკვიდრ ძმებად და თანამოქალაქეებად, ხოლო იმ გვარი მმართველობა კი უარეყო, როგორსაც დღემდე უწევდა ამერიკელებს.

ლორდის მეცადინოებამ უქმად ჩაიარა.

*) ამ დღის თავადებს უწოდებენ ლორდებს,

— „მესიტყვა ამერიკელის შედგენილია და არა
ინგლისელი ლორდისა! მე არ ვიქნები შემცდარი
რო ვსთქვა: „ეს სიტყვა შეადგინა აქ დამსწრე ინ-
გლისის დაუძინებელმა მტერმა“ — შეჰყვირა მას მე-
ორე ლორდმა; თანაც თვალს არ აშორებდა ფრან-
კლინს, რომელიც მოსულიყო მოესმინა, თუ რით
გათავდებოდა სხდომა.

— სიტყვა მე მეკუთვნის და რამდენადაც თქვენ
არ გეჭაშნიკებათ იმდენად მოვალედ ვრაცხ ჩემს
თავს გავიმეორო იგი და კიდეც ყოველი პასუხი
ვაგო მის გამო. მაგრამ პირდაპირ ვაცხადებ: დღეს
რომ მჩნისტრად ვიყო და მონდობილი მჭონდეს
კოლონიებთან ჩვენი დავი დავაბრალაო, მე სრუ-
ლიად არ შემრცხვებოდა დარიგება მიმელო იმ
კაცისაგან, რომელიც ძლიერ კარგად იცნობს ამე-
რიკელებს, რომელსაც მთელი ევროპა პატივა
სცემს, ძვირად აფასებს მისს ცოდნასა და სიბრძნეს;
ვისაც მთელი ევროპა ყველა დროის შესანიშნავ
პირთა შორის რაცხს და ვისი სახელიც ძვირად
ღირს არა მარტო მისი სამშობლოისათვის, არამედ
მთელი კაცობრიობისათვის“. — ილელვებით უპასუხა
ლორდ ჩატტამმა.

საუბედუროდ ლორდის აზრი გარჩევის ღირსადაც
არ იცნეს.

შემდეგ ამისა ფრანკლინმა მისწერა ამერიკელებს:
„მე დავრწმუნდი ინგლისის მმართველთა სრულს
უვიცობაში, დავრწმუნდი მათ უსაბართლობაში,

კერძოობაში, დავრწმუნდი აგრეთვე, რომ ისინი განძრახ უვლიან გვერდს ჭეშმარიტებას... საზიჲლარი წარმოსადგენია დღეს მათი უკანონო სურვილი სამი მალიცანი კეთილ-გონიერი ამერიკულების დამორჩილებისა. დიდხანს შევყურებდი მათ მოქმედებას და დავრწმუნდი, რომ მათ იმოდენი ჰკუის გამჭრიახობაც არ აქვთ, რომ ხეირიანად ცხვრის ჯოგს მოუარონ, არა თუ ადამიანებს. მინისტრები და მათი მეგობრები ჩვენ ამერიკელებს ზიზლით გვახსენებენ, ვითომც სულ სხვა ჯურის ხალხი ვიყოთ და არა იმისა, რომელსაც ევროპიელნი ინგლისელნი ეკუთვნიან“.

* *

ფრანკულინს ყოველის მხრით აფრთხილებდენ, რომ ერთხელაც იქნება ინგლისელები დააპატიმრებენ მას — ციხეში ჩასვამენ როგორც არეულობის მოთავეს... იგი დარწმუნდა, რომ ამას იქით ინგლისში ვერას გააწყობდა, — უჩხუბრად საქმის დაბოლოვება შეუძლებელი იყო. ამასთანავე წერილიც მიიღო ამერიკიდგან, რომლით აუწყებდენ ცოლის გარდაცვალებას...

1775 წელს, 20 მარტს ფრანკულინი გავიდა ინგლისიდგან... დროც იყო; ფილადელფიაში იგი მივიდა ხუთს მაისს, *) და 19 აპრილს უკვე დაიღვარა ახალშენების სისხლი ინგლისელებთან შეტაკებაში.

*) იმ დროში გემები და რკინის გზები არ იყო. ინგლისიდგან ამერიკაში გადასვლას კაცი ეცვს პვირას უნდებოდა. აზლა იმავე გზას, თუ უფრო ადრე გერა, ათს დღეზე მარც გაივლდა.

ინგლისელი სალდათებმა შეამჩნიეს ხალხის არეულობა მასსაჩუზეტში და მოიჩდომეს თოფების წართმევა, მაგრამ ხალხმა წინაღმდევება გაუწია და პირიქით წაართვა ინგლისელებს რამდენიმე საწყობი თოფ-იარაღისა.

გაიმართა ომი. ინგლისელებს აზრად ჰქონდათ ამერიკელების სრულიად დამონება, ამერიკელებს კი სრული დამოუკიდებულობის მოპოვება. ინგლისთან. ამერიკელი ჯარების მთავარ-სარდლობა იკისრა ცნობილმა გიორგი გაშინგრეთნმა.

IX

ამარიველ ახალშეწოა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ფრანგელი საფრანგეთზი.

3 რანკლინი ფილადელფიაში დაბრუნებისთანავე კონგრესის: წევრად იქმნა ამორჩეული.

1776 წელს, 4 ივლისს „კონგრესის“ გამოსცა განცხადება, რომელშიაც ინგლისის ცამეტივე კოლონია ინგლისთან დამოუკიდებლობას აცხადებდა. ჯერ ეს განცხადება რამდენიმე პირმა შეადგინა (მათ შორის ფრანკლინიც იყო); შემდეგ იგი განსახილველად „კონგრესის“ წარმოუდგინეს.

„პონგრესმა“ ეს განცხადება მოიწონა, მაგრამ ერთმა წევრთაგანმა მაინც საჭიროდ ცნა: აქ სიტყვა ჩაემატებიათ, იქ—მოეკლოთ, ესა და ეს სიტყვა შეცვალიათ, ის—სულ ამოეშალოთ... ამ საგანზედ კა

მათობას დასასრული არ მიეცა. ფრანკლინი დიღხანს იყო გაჩუმებული. ბოლოს წამოაღვა. მისს აღგომაზე კონგრესში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ყურადღებით მოქსმინათ პატივცემული მოქალაქისათვის. —

ფრანკლინმა სთქვა: „მე შლაპეს სურდა გაეხსნა სახელოსნო და მოიწვია თავისი მეგობრები იმის გამოსარკვევად, თუ როგორი მხატვრობა (ВЫВЕСКА) დავკვეთა დუქნის წინ გამოსაკიდად?“

თვითონ დასძინა: „მე ვფიქრობ, დავახატვინო ჯერ შლაპა და შემდეგ წავაწერიო „მე შლაპე ჯონ-ტომსონი ნალდ ფულად აკეთებს შლაპეს.““

მრთმა მეგობარმა შენიშნა: „რა საჭიროა მოვიხსენიოთ აქ „ნალდ ფულად,““ ამას მყიდველი შეურაცყოფად მიიღებს, ვითომც თვითეულს მათგანს ნისიად ანუ მუქთად სურდეს საჭონლის გატანა.““

ამოშალეს სიტყვები: „ნალდ ფულად“. —

მეორემ სთქვა: „რა საჭიროა გამეორება. „მე შლაპე, აკეთებს შლაპებს“. „რასაკვირველია მე შლაპე შლაპებს აკეთებს და არა წალებს!“

— მართალი ხარ: „„აკეთებს შლაპებს““ — მეტი სიტყვებია“ — შიუგო მეპატრონემ. მხატვრობაზედ დარჩა: მე შლაპე „ჯონ ტომსონი“ და დახატული შლიაპა.““

— ზანა სულ ერთი არ არის შყიდველისათვის, ვინც უნდა აკეთებდეს შლაპებს — ტომსონი თუ არა ტომსონი?“ იმას შლაპა კი ეშოვებოდეს და“.

სიცილით წარმოსოქვა ვიღაცამ.

— „ესეც მართალია! მაშ მხატვრობაზედ დარჩება დახატული შლიაპა და წარწერა „„მეშლიაპე.““

— „თუ კი შლიაპა დახატული იქნება, წარწერა რაღა საჭიროა?“

— „თუ კი წარწერილია „„მეშლიაპე““ — შლიაპის დახატვა რა საჭიროა?“

— ერთხმად წამოიძახა ორმა მეგობარმა სხვა და სხვა კუთხიდგან.

— „ბატონები! მხატვრობაზედ აღარაფერი დაგვრჩია“ — წამოიძახა მეპატრონემ.

ვაი თუ ჩვენს განცხადებასაც ასე მოუვიდეს. კრებას გაეცინა... განცხადება მიღებულ იქმნა შეუცვლელად.

* * *

პოლონიებთან საბრძოლველად ინგლისი გაწვრთნილ ჯარს აგზავნიდა. — ამერიკელებს კი შეეძლოთ გამოეყვანათ ახალშენთაგან შემდგარი დაუწყობელი რაზმები — სამხედრო საქმეში გამოუცდელნი და თან ცუდად შეიარაღებულნი — უბრალო „მელიცა“... ამის გამო ახალშენების საქმე პირველ ხანებში ცუდად მიღიოდა, მაგრამ ისინი სულით ძლიერნი იყვნენ დათარა სცხრებოდნენ...

ფრანკლინს მინდობილი ჰქონდა მოლაპარაკება გაემართა ამ საქმის შესახებ უცხო სახელმწიფო ებთან: აეხსნა მათთვის, თუ რისთვის გაიმართა ბრძოლა, აღეძრა მთში თანაგრძნობა კოლონიებისადმი,

მოეკრიბა კოლონიებში, სამსახურისათვის სამხედრო
საქმის მცოდნე კაცები, ეყიდა და შემოეტანა თოფ-
იარალი....

მან ისევ მიიღო ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა.
საფოსტო საქმის კარგად მოწყობა ომიანობის დროს
სახუმრო როდია.

* *

ძოლონიების აჯანყება სამართლიანი იყო და ამი-
ტომ საზოგადო თანავრობისას იწვევდა. ამერიკის
ჯარებს თან და თან ემატებოდა „კოლონტერები“ *)
უცხო ქვეყნებიდგან.. ყველაზე მეტი კი საფრანგე-
თიდგან.

ძოლონიებს მაინც ძალიან ეძნელებოდათ ომის
ატანა. მიუცილებელი საჭირო იყო, ამერიკას რო-
მელიმე მძღვარს სახელმწიფოსთან კავშირი დაეჭირა.

გადასწყვიტეს ამოერჩიათ ვინმე სანდო პირი და
გაეგზავნათ საფრანგეთში, რომელსაც რამდენიმე ხა-
ნი უნდა დაეყო იქ, გადაეხედ-გადმოეხედა იქაურო
გისათვის და დაკვირებოდა — შეიძლება თუ არა მი-
სგან შემწეობის აღმოჩენა.

ვინ უნდა გაეგზავნათ? ამონეულ იქმნა ისევ ფრა-
ნკულინი. ამ დროს იყი 70 წლისა იყო, მაგრამ მასში
ჯერ კიდევ ცხოველი იყო სურვილი სამშობლოისა-
თვის სამსახური გაეწია.

1776 წ., 21 დეკემბერს ვრანკულინი საფრანგეთის
სატახტო ჰალიკში — პარიზში ჩავიდა. იგი დაბინავდა

*) თავისის ნუბრი ჯარშ შესულ კაცს ეწერება კოლონტერი

პარიზის ქროს მიყრუებულს კუთხეში... მაგრამ მისი ჩამოსვლა გამოცხადებული იყო პარიზის ყველა გაზეთებში. მან დიდი ხანია მიიქცია განათლებული საზოგადოების ყურადღება: მისმა სამართლიანმა, დაურიდებელმა და სრულიად ღირსეულმა ყოფაქცევამ ლონდონში, მისმა მეცნიერულმა ნაწარმოებმა დიდი ხანია მოუპოვეს მას საზოგადო პატივისცემა.—

საფრანგეთში, ჩამოსვლის თანავე, მან ყველასი გული მიიზიდა. იმათაც კი არ შეეძლოთ არ ეგრძნოთ ზედ გავლენა მშვენიერის მოხუცისა, მისის დიადის სულისა, ღრმა ჭკუისა და შესანიშნავი გამოცდილებისა, რომელნიც მანდამაინც ამერიკელებთან არ იყვნენ გაწყობილნი. ყველა აღტაცებაში მოდიოდა მისი პატიოსანი, პირდაპირი და სამართლიანი ლაპარაკით, რომელშიაც ის იცავდა თავისი ერის უფლებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ყველგან დიდის პატივდებით ღებულობდენ ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მას ქუჩებში.“

მაშინდელი დროის მდიდარნი და გამოჩენილნი კაცები ფუფუნებას ძლიერ ეტანებოდენ. საშვალ-შეეძლების კაცებიც უდგენ მათ... კოხტავობა უმაღლეს ხარისხამდე იყო განვითარებული... ქუჩებში წარა-მარა დატრიალებდენ კოხტად მორთულნი კაცები და კოპტიად მოკაზმულნი ქალები პუდრით შეფირფლულ პარიკებში და ხავერდის ოქრო-ქსოვილს კაპებში. ამ ოქროთი დაფერილ ხალხში არ შეიძლებოდა არ შეგენიშნათ მოხუცი ლამაზად უკან გადავარცხნილი ჭალარა თმით, უბრალო — ფართო კიდუ-

რებიანი შლიაპით, შავი მაუდის ტანისამოსში...

მას უველა მორიდებით ჩამოუდგებოდა ხოლმე
გზიდგან და სალამს აძლევდა.

— „ფრანკლინი! პატივცემული ფრანკლინი!“ —
უჩურჩულებდენ მშობლები თავიანთ შვილებს. —
„შეხედეთ მას ბავშებო, შეხედეთ...“

— „ამან მოსტაცა ზეცას ელვა და სამშობლოის
შემავიწროებელთ უფლება (უფროსობისა)“ — ლა-
პარაკობდენ მაზედ.

საფრანგეთის მართებლობა დიდ ხანს ვერ ბედავდა
სხვის საქმეში ჩარევს. იგი უიშობდა ინგლისთან
ომი მარტო მას არ დასტეხოდა თავზედ... მაგრამ
ფრანკლინმა მალე დაარწმუნა საფრანგეთის მართე-
ბლობა, რომ „კოლონისტები“ ძლიერნიმოკავშირენი
არიან, რის შემდეგ საფრანგეთმა დაუყონებლივ გა-
უგზავნა ამერიკის კოლონიებს მისა შველებლად
ფლოტი, იარაღი და ჯარი...

ფრანკლინი ამერიკელების ელჩათ დარჩა საფრა-
ნგეთში. შევნებულმა ინგლისელებმა ლაპარაკი ჩა-
მოაგდეს ზავის შესახებ.. ფრანკლინს კაცები მიუ-
გზავნეს... ბოლოს 1783 წ. ფრანკლინმა და ამერიკის
კამეტი კოლონიის ვექილმა ხელი მოაწერეს ინგლი-
სთან ზოვის პირობაზედ. ინგლისმა იცნა თავისი კო-
ლონიები (ამერიკაში) „დამოუკიდებელ სახულმწიფოდ...“

X

როგორ გოვაწყო დამოუკიდებელი კოლო-
ნიები.

ზავის ჩამოკიდების შემდეგ ფრანკლინი სწერდა

ამერიკაში: „ნება მიბოძეთ დღეს ჩემს თავზე ვილა-პარაკო,. არა ვგონებ, რომ ამსაგანზედ ლაპარაკით ხში-რად თავს გაბეჭრებდეთ. 78 წლისა კაცი ვარ. სა-შინელმა ავადმყოფობამ ესეც არის ბოლო მოუღოს ჩემს ძალლონეს...“

ის თხულობდა სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ. როცა დაბრუნების ნება მიიღო, ფრანკლინი გამოეწყო გასამგზავრებლად.

ფილადელფიაში მას აღტაცებით მიეგებენ. დიდ-მალი ხალხი მოგროვდა მისდა შესახვედროთ, ქუჩები სულ გაჭედალი იყო ხალხით. ხალხმა ნაპირზედ ჩა-მოსვლა არც კი აცალა, ისე მოიტაცა იგი; აიყვა-ნეს ხელში და ისე დიდის ამპვით გაატარეს იგი.

ასტუდა ყოველი მხრივ ზარის რეკა, თოფის სრო-ლა... ამგვარის პატივით მიიყვანეს მოხუცი თავის სახლამდე.

შოველი მხრიდგან მას გამარჯვებას ულოცავდენ .. მოდიოდენ მასთან საალერსოდ საბასოდ... ყველა-ზედ უწინ ინახულა და მიულოცა მას გამარჯვება ცნობილმა გ. ვაშინგტონმა.

აქაც არ დაცხრა დიადი მოხუცი. ამერიკელებმა მთელის ქვეყნის წინაშე აღიარეს მათი დამოუკიდე-ბლობა... ეხლა მათოვის საჭირო იყო ახალი ცხო-ვრება კარგად მოეწყოთ... საჭირო იყო „ასაღი ს-ხულმწიფოსათვის მიეცათ მტკაცე წულბოლება და დაე-დგინათ მასში წესრიგი.“

ამ მიზნით მოიწვიეს „დამფუძნებელი კრება“... ამ კრებაში ამორჩეულ იქმნა „ამერიკის საუკეთესო

პირნი „... მასში არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ფრანკლინიც.

ადვილი საქმე არ ედოთ წინ. დიდი დავა ასტყუდა. ფრანკლინი ჩვეულებრივ დამშვიდებით მოისმენდა ყველას აზრს და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა დაასრულებდა თავისას, ადგებოდა და იტყოდა უბრალო ამოცანას. ამიტომ მას დიდი გავლენა ჰქონდა კამათობაზე. მისი მოხერხება ყველას შესათვისებლიად მეტის მეტად გაზუდგა... როცა „დამფუძნებელ კრებამ“ დაამთავრა თავისი მეცადინეობა, ფრანკლინმა ახალ წეს-წყობილებას, ქება შეასხა ვითარცა „ამომავალს მზეს“ —

თვითოვეული კოლონია წარმოადგენდა თითქო განცალკევებულ სახელმწიფოს — „შტატს.“ რომელსაც მართავს ამორჩეული კაცები და არჩეული გუბერნატორი ისე როგორც მათ სურთ. ყველა შტატები კი ერთად ერთს შეუწყვეტელს კავშირს შეადგენენ ამ სახელწოდებით: „ჩრდილოეთ ამერიკას შეერთებული შტატები“ კავშირის საზოგადო საქმეებს ეგრედ წოდებული კონგრესი განავებს.

იგი შესდგება ჯველა შტატების მიერ არჩეულ პირთა ორი კრებისაგან („სენატი“ და „წარმომადგენელთა პალატა“) ისინი გამოსცემენ „ანკარგულებებს და კანონებს. უმთავრესი მეთვალყურეობა მასზედ რომ ცხოვრება მიმდინარეობდეს კანონისა და დადგენილის წესრიგის თანახმად, ეკუთვნის თავმჯდომარეს — შეერთებული შტატების „პრეზიდენტს“ რომლის არჩევანი მოხდება ყოველ ღთხს წელიწადში ერთხელ...

პირეელ პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა გიორგი
ვაშინვტონი (იხ. 86 გვ.)-

„ჩრდილ ჯეთ ამერიკის შეერთებული შტატები“
დღემდე არსებობენ იმ განსხვავებით, რომ მოხსენე-
ბულს ცამეტს შტატს კიდევ სხვა პევრიც მიემატა.
დღეს იგი წარმოადგენს მთელს დედამიწის ზურგშედ-
ულონიერესს და უმდიდრესს სახელმწიფოს. —

XI

უკანასკნელი დღენი ფრანგლისია

Жნაირად ფრანკლინს ბედმა არგუნა იშვიათი
ბედნიერება—დაინახა იმ საქმის კეთილად დაგვირგვი-
ნება, რომელსაც მან შესწირა თავისი ნახევარი.
სიცოცხლე, მიეცა სასურველი დასასრული... უდი-
ალსრულდა.

— და დიდებულმა იმა მოხუცმა
შორს გამჭვრეტელი დახუჭა თვალი,
შეასრულა რა სისწორით ყველა,
ამ ქვეყანაში რაც ჰქონდა ვალი!

უკანასკნელი ორი წელიწადი თავისი სიცოცხლისა
მან საშინელს ავადმყოფობაში გაატარა.

— რომ შევაერთოთ ამ ორი წლის ყველა წუთები,
რომელნიც მან უტანჯველად გაატარა, არ შეგვი-
დგება სრულათ არც ორი თვე — სწერდა მოწამე
მისის უკანასკნელის დღეებისა. — მაგრამ ყველა მწუ-
ხარებას გაუჯავრებელად და უსაყველუროდ იტანდა;
ოდნად თუ კი შეეძლო მეცადინეობდა:, შეინახა

ჭკუისა და სულის სრული სიფხიზლე უკანასკნელ
განტევებამდის.

* *

ჭრანკლინის მიერ დაარსებული იყო „ზანგთა
მთხობისაგან განთავისუფლების საზოგადოება“ მიუხე-
დავად მძიმე ავადმყოფო ისა მან რამდენიმე წლის წი-
ნედ სიკვდილამდის ხელი მოაწერა როგორც საზო-
გადოების თავმჯდომარებ, კონგრესისადმი თხოვნაზე
(„პეტიცია“), რომელშიაც მონობის მოსპო-
ბას ითხოვდა.

— ყოველი ჩდიმიანი ქრთი ღვერთის გაჩენილია —
ნათქვამი იყო ამ თხოვნაში. — ყველა ერთნაირად
შეადგენს მასი ზრუნვის საგანს, ყველას ერთნაირი
ნება აქვს თავისუფლებაზედ და ბედნიერებაზე. ამას
უნდა სცნობდენ ამჯრიკელნი. ამიტომ მათი მოვა-
ლეობაა — ყოველი კანონიერი საშვალება იხმარონ
მონობის მოსასპობად. თავისუფალ სახელმწიფო ში
მონობა საზიზლარი სანახავია.

ამ თხოვნამ გაცხარებული კამათობა გამოიწვია,
მაგრამ კონგრესმა, ფრანკლინის თხოვნის საპასუხოდ
მაინც ნება დართო თვითოველს შტატს თავიანთ
საზღვრებში ზომები მიეღო მონობის შესამსუბუქე-
ბლად და მოსასპობად; აღუკრძალა აგრეთვე ახალი
მონების ყადვა უცხო მხარეში და მათი მოყვანა
შეერთებულ შტატებში...

ნამეტურ ცხარე სიტყვა მონობის დასაცველად
წარმოსთქვა ვინმე ჯეკსონმა .. მომაკვდავმა ფრან-
კლინმა პასუხად დაუწერა მშვენიერი, ძლიერი სტა-
ტია, რომელშიაც ამ ჯეკსონის სიტყვა ათანასწო-
რებდა ნახევრად ველური მეკობრის თათრის სიტყვა

სთ-ნ, რომელიც ვითომ ქრისტიანე, შონებს ჰყიდდა
იგი დაბეჭდილი იყო პენსილვანიის გაზეთში თვრა
მეტი დღით წინ ფრანკლინის სიკვდილამდე.

ტყუილად არა სწერდა ვაშინგტონი ავადმყოფს
მოხუცს:

— „თქვენ ყველას უყვარხართ! რაღან აღამიანი-
სათვის მუდამ კეთილი გსურთ; თქვენი ნიჭიერება
აკვირვებს მათ: სამშობლოისა და კეთილრისადმი სიყვა-
რ ულისათვის თქვენ ყველა დიდს პატივსა გცემს“...

სალამოს 17 აპრილს, 1790 წლისა, ავადმყოფი
ფრანკლინი სთხოვდა თავის ქალს ლოგინი კარგად
დაეგო.

მინდა მშვიდობიანად მოვკვდე—დაუმატა მან.

შალმა დაუწყო ლაპარაკი, რომ ის კიდევ იცო-
ცხლებს და ..

— არა მაქვს იმედი — უპასუხა ფრანკლინმა.

თერთმეტ საათზედ იგი გარდაიცვალა.

ის მოკვდა 84 წლისა და სამის თთვისა.

ფრანკლინის გასვენებაზედ შეიკრიბა ურიცხვე
ბრბო ხაღლებისა. შეერთებულ შტატების კონგრესმა
ერთის თვის გლოვა დადგინა, რომ პატივი ეცათ
მოქალაქისათვის, რომელმაც თავისი შრომით ლირსე
ულად ემსახურა მეცნიერებას, თავისუფლებას, მამულს,

„და მთელს კაც უბრიობას“ — დაუმატებთ ჩვენ
ურანკლინის ხსოვნა პატივით იხსენიება შორს — ამა
რიკის სახლვარ გარეთ. არაა ისეთი განათლებული
მხარე ქვეყანაზედ, სადაც მისი სახელი დიდის პატი
ვით არ იხსენიებოდეს.

92

5 773

ଓଡ଼ିଆ ମୁଦ୍ରଣ ପାତ୍ର